	საქონელი და მომსახურება	35.50	0.00	35.50	34.55	0.00	34.55	97.33
	არაფინანსური აქტივების ზრდა	88.69	0.00	88.69	88.69	0.00	88.69	100.00
05 06	დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა	669.03	0.00	669.03	387.01	0.00	387.01	57.85
	არაფინანსური აქტივების ზრდა	669.03	0.00	669.03	387.01	0.00	387.01	57.85

კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტული მაჩვენებელი %
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
06 00	ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა	4023.57	0.00	4023.57	3403.50	0.00	3403.50	84.59
	ხარჯები	3751.80	0.00	3751.80	3157.17	0.00	3157.17	84.15
	საქონელი და მომსახურება	68.68	0.00	68.68	62.21	0.00	62.21	90.57
	სუბსიდიები	1219.20	0.00	1219.20	1198.17	0.00	1198.17	98.28
	სოციალური უზრუნველყოფა	2366.48	0.00	2366.48	1800.89	0.00	1800.89	76.10
	სხვა ხარჯები	97.44	0.00	97.44	95.90	0.00	95.90	98.42
	არაფინანსური აქტივების ზრდა	271.77	0.00	271.77	246.33	0.00	246.33	90.64
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	393.77	0.00	393.77	380.06	0.00	380.06	96.52
	ხარჯები	172.00	0.00	172.00	161.57	0.00	161.57	93.94
	სუბსიდიები	170.20	0.00	170.20	159.77	0.00	159.77	93.87
	სხვა ხარჯები	1.80	0.00	1.80	1.80	0.00	1.80	100.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	221.77	0.00	221.77	218.49	0.00	218.49	98.52
06 01 01	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	175.00	0.00	175.00	161.46	0.00	161.46	92.26
	ხარჯები	170.20	0.00	170.20	159.77	0.00	159.77	93.87
	სუბსიდიები	170.20	0.00	170.20	159.77	0.00	159.77	93.87
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.80	0.00	4.80	1.69	0.00	1.69	35.17
06 01 02	ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებები	218.77	0.00	218.77	218.60	0.00	218.60	99.92
	ხარჯები	1.80	0.00	1.80	1.80	0.00	1.80	100.00
	სხვა ხარჯები	1.80	0.00	1.80	1.80	0.00	1.80	100.00
	არაფინანსური აქტივების ზრდა	216.97	0.00	216.97	216.80	0.00	216.80	99.92
06 02	სოციალური დაცვა	3614.80	0.00	3,614.80	3010.90	0.00	3010.90	83.29
	ხარჯები	3564.80	0.00	3564.80	2983.06	0.00	2983.06	83.68
	საქონელი და მომსახურება	55.00	0.00	55.00	50.99	0.00	50.99	92.71
	სუბსიდიები	1,049.0	0.0	1,049.0	1,038.4	0.0	1,038.4	98.99
	სოციალური უზრუნველყოფა	2,366.5	0.0	2,366.5	1,800.9	0.0	1,800.9	76.10
	სხვა ხარჯები	94.32	0.00	94.32	92.78	0.00	92.78	98.37
	არაფინანსური აქტივების ზრდა	50.00	0.00	50.00	27.84	0.00	27.84	55.69
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	34.59	0.00	34.59	34.59	0.00	34.59	100.00
	ხარჯები	34.59	0.00	34.59	34.59	0.00	34.59	100.00

კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტული მაჩვენებელი %
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
	სოციალური უზრუნველყოფა	34.59	0.00	34.59	34.59	0.00	34.59	100.00
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	176.85	0.00	176.85	176.35	0.00	176.35	99.72
	ხარჯები	176.85	0.00	176.85	176.35	0.00	176.35	99.72
	სოციალური უზრუნველყოფა	175.85	0.00	175.85	175.35	0.00	175.35	99.72
	სხვა ხარჯები	1.0	0.0	1.0	1.0	0.0	1.0	100.00
06 02 02 01	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმ შვილების სოციალური დაცვა	5.40	0.00	5.40	5.40	0.00	5.40	100.00
	ხარჯები	5.40	0.00	5.40	5.40	0.00	5.40	100.00
	სოციალური უზრუნველყოფა	5.40	0.00	5.40	5.40	0.00	5.40	100.00
06 02 02 02	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	171.45	0.00	171.45	170.95	0.00	170.95	99.71
	ხარჯები	171.45	0.00	171.45	170.95	0.00	170.95	99.71
	სოციალური უზრუნველყოფა	170.45	0.00	170.45	169.95	0.00	169.95	99.71
	სხვა ხარჯები	1.0	0.0	1.0	1.0	0.0	1.0	100.00
06 02 03	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	1047.00	0.00	1047.00	1015.24	0.00	1015.24	96.97
	ხარჯები	997.00	0.00	997.00	987.40	0.00	987.40	99.04
	სუბსიდიები	997.00	0.00	997.00	987.40	0.00	987.40	99.04
	არაფინანსური აქტივების ზრდა	50.00	0.00	50.00	27.84	0.00	27.84	55.69
06 02 04	ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	10.00	0.00	10.00	4.75	0.00	4.75	47.50
	ხარჯები	10.00	0.00	10.00	4.75	0.00	4.75	47.50
	სოციალური უზრუნველყოფა	5.00	0.00	5.00	1.25	0.00	1.25	25.00
	სხვა ხარჯები	5.0	0.0	5.0	3.5	0.0	3.5	70.00
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	245.99	0.00	245.99	245.81	0.00	245.81	99.93
	ხარჯები	245.99	0.00	245.99	245.81	0.00	245.81	99.93
	სოციალური უზრუნველყოფა	215.99	0.00	215.99	215.85	0.00	215.85	99.94
	სხვა ხარჯები	30.00	0.00	30.00	29.96	0.00	29.96	99.87
06 02 06	ვეტერანთა საზოგადოება	2.00	0.00	2.00	2.00	0.00	2.00	100.00

კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტული მაჩვენებელი %
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
	ხარჯები	2.00	0.00	2.00	2.00	0.00	2.00	100.00
	სუბსიდიები	2.00	0.00	2.00	2.00	0.00	2.00	100.00
06 02 07	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე და თხევადი აირით დახმარების ღონისძიებები	90.16	0.00	90.16	86.13	0.00	86.13	95.53
	ხარჯები	90.16	0.00	90.16	86.13	0.00	86.13	95.53
	საქონელი და მომსახურება	55.00	0.00	55.00	50.99	0.00	50.99	92.71
	სოციალური უზრუნველყოფა	35.16	0.00	35.16	35.14	0.00	35.14	99.93
	სხვა ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	#DIV/0!
06 02 08	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	83.95	0.00	83.95	83.95	0.00	83.95	100.00
	ხარჯები	83.95	0.00	83.95	83.95	0.00	83.95	100.00
	სოციალური უზრუნველყოფა	83.95	0.00	83.95	83.95	0.00	83.95	100.00
06 02 09	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	58.32	0.00	58.32	58.32	0.00	58.32	100.00
	ხარჯები	58.32	0.00	58.32	58.32	0.00	58.32	100.00
	სხვა ხარჯები	58.32	0.00	58.32	58.32	0.00	58.32	100.00
06 02 10	სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები	1636.53	0.00	1636.53	1120.81	0.00	1120.81	68.49
	ხარჯები	1636.53	0.00	1636.53	1120.81	0.00	1120.81	68.49
	სოციალური უზრუნველყოფა	1636.53	0.00	1636.53	1120.81	0.00	1120.81	68.49
06 02 11	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	212.00	0.00	212.00	165.55	0.00	165.55	78.09
	ხარჯები	212.00	0.00	212.00	165.55	0.00	165.55	78.09
	სუბსიდიები	35.0	0.0	35.0	34.0	0.0	34.0	97.14
	სოციალური უზრუნველყოფა	177.00	0.00	177.00	131.55	0.00	131.55	74.32
06 02 14	1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება	2.40	0.00	2.40	2.40	0.00	2.40	100.00
	ხარჯები	2.40	0.00	2.40	2.40	0.00	2.40	100.00
	სოციალური უზრუნველყოფა	2.40	0.00	2.40	2.40	0.00	2.40	100.00
06 02 15	საქართველოს წითელი ჯვარის თანადაფინანსება	15.00	0.00	15.00	15.00	0.00	15.00	100.00
	ხარჯები	15.00	0.00	15.00	15.00	0.00	15.00	100.00

კოდი	თელავის მუნიციპალიტეტი	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტული მაჩვენებელი %
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
	სუბსიდიები	15.0	0.0	15.0	15.0	0.0	15.0	100.00
06 03	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა	15.00	0.00	15.00	12.54	0.00	12.54	83.57
	ხარჯები	15.00	0.00	15.00	12.54	0.00	12.54	83.57
	საქონელი და მომსახურება	13.7	0.0	13.7	11.2	0.0	11.2	81.98
	სხვა ხარჯები	1.32	0.00	1.32	1.32	0.00	1.32	100.00

გადასახდელების გეგმა: 2023 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო - 81529,77 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 63120,26 ათასი ლარი, შესრულდა 77,42%-ით.

III თავი. პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულება

- ინფრასტრუქტურის განვითარება - **35905,55** ათასი ლარი;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - **1419,0** ათასი ლარი;
- განათლება - **7686,29** ათასი ლარი;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - **7175,25** ათასი ლარი;
- ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა - **3403,50** ათასი ლარი;
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - **7530,67** ათასი ლარი.

2023 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გახარჯულმა თანხამ შეადგინა 12230,43 ათასი ლარი, განხორციელდა სოფელ აკურის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (გომალას უბანი); სოფელ კისისხევში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (N17 გზა); სოფელ ფშავლის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (ბანაკის უბანი); სოფელ კურდღელაურის N5 ქუჩის რეაბილიტაცია; ქ. თელავში ჩოლოყაშვილის ქუჩის ნაწილის რეაბილიტაცია; სოფელ კონდოლოში, სოფლის ბოლოში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოასფალტება; სოფელ შალაურში, მე-17 ქუჩის ბოლო მონაკვეთის და მე-16 ქუჩის მოასფალტება; სოფელ შალაურში, სკოლის გზის მოასფალტება; სოფელ იყალთოში, ამბულატორიის გზის მოასფალტება; სოფელ რუისპირში, სოფლის თავში მდებარე სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია/მოასფალტება; სოფელ ყარაჯალაში, სასაფლაოსთან მიმავალი გზის მოასფალტება; სოფელ ლალისყურში შიდა საუბნო გზების მოასფალტება; ქ.თელავში, იოსებ დავითაშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ქ. თელავში ლეონიძე დავითაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია; სოფელ სანიორის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია; ქ. თელავში, ჭონქაძეს ქუჩის რეაბილიტაცია; ქ. თელავში ჭონქაძის ქუჩის II ჩიხის რეაბილიტაცია; ქ. თელავში ნინოშვილის ქუჩის რეაბილიტაცია; ქ. თელავში ლესია უკრაინკა და ფირუზ მახათელაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია; სოფელ თეთრიწყლების შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი); ბოჭორიძეების ქუჩის რეაბილიტაცია; სოფელ ართანის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია ქ. თელავში, ვახტანგ სენიაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია; ქ. თელავში, ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხრეთით მდებარე გზის რეაბილიტაცია; სოფელ თეთრიწყლებში (ნადიკვარი) შიდა საუბნო გზის დამცავი რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები. შეძენილი იქნა საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, პროექტების გადაფასების მომსახურება; გაფორმდა ხელშეკრულებები და სამუშაოები დაიწყო ქ. თელავში ჭადრის ქუჩის, ქ. თელავში იროდიონ ევდოშვილის ქუჩის, ქ. თელავში სამაჩაბლოს ქუჩის, ქ. თელავში ყაზბეგის ქუჩის, ქ. თელავში რობაქიძის ქუჩის რეაბილიტაციის, სოფელ ახატელში შიდა საუბნო გზის მოასფალტების, სოფელ ნასამხრალში, შიდა საუბნო გზის მოასფალტების (რკინიგზის უბანი); სოფელ გულგულაში, შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის (სანიაღვრე არხების მოწყობით, ოხანაშვილების უბანი), რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაციის, მუსხელიშვილის ქუჩის მიმდებარე გზის რეაბილიტაციის სოფელ ვარდისუბნის გზის (მარგალიტაშვილების უბანი); ქ. თელავში ქლუხორის ქუჩის რეაბილიტაციის, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვანთაში შიდა საუბნო გზის

(ნუსხელიძეების უბანი) მოასფალტების, ქ. თელავში თამარის ქუჩის ნაწილის და ჩოდრიშვილის ქუჩის II ჩიხის რეაბილიტაციის, რომელიც გაგრძელდა 2024 წელს. გაფორმდა ხელსეკრულებები საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე. განხორციელდა ასფალტირებული გზების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციის (ე.წ. ორმოული და ეკრანული შეკეთება) სამუშაოები. სამუშაოები განხორციელდა 5570 კვ. მ-ზე და გაგრძელდა 2024 წელს. მოეწყო სხვადასხვა სახის საგზაო ნიშნები, და ქვეითთა გადასასვლელები. საჭიროების შესაბამისად მოხდა სხვადასხვა ლოკაციებზე ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება (დამონტაჟდა 54 ცალი საგზაო ნიშანი), საგზაო მონიშვნები (290,18 კვ.მ); სხვადასხვა ლოკაციებზე მოეწყო სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბარიერები სულ ჯამში 367 გრძ. მ. განხორციელდა ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მოვლა-პატრონობა. უსაფრთხოების მიზნით, თოვლიანი ამინდის შემთხვევაში განხორციელდა საავტომობილო გზების თოვლისგან გაწმენდა და სხვა.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესების, წყლის სისტემების ფუნქციონირების და გამართული მუშაობის უზრუნველყოფისათვის, ჩამდინარე წყლების სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის და ექსპლუატაციისათვის გაიხარჯა 2979,1 ათასი ლარი; 2023 წელს განხორციელდა სოფელ ლაღისყურში სასმელი წყლის ახალი სათავე - ნაგებობების და ქსელის მოწყობის სამუშაოები; სოფელ ართანაში და სოფელ შალაურში სასმელი წყლის ახალი ჭაბურღილების მოწყობის სამუშაოები; სოფელ წინანდალში არსებულ ჭაბურღელში ჩაყრილი ქვა-ღორღის ამობურღვის სამუშაოები; სოფელ ქვ. ხოდაშენში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია; ქვეპროგრამის დაფინანსების ფარგლებში განხორციელდა აგრეთვე სასმელი წყლის ჭაბურღილების მოვლა-პატრონობა. 2023 წელს გაფორმდა ხელშეკრულებები და სამუშაოები დაიწყო სოფელ იყალთოში და სოფელ კონდოლში სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობაზე, სოფელ თეთრწყლებში სასმელი წყლის ჭაბურღილთან ელ. გადაცემის ხაზის მოწყობაზე, სოფელ წინანდალში ჭაბურღილის რეაბილიტაციაზე და გაგრძელდა 2024 წელს. გაფორმდა ხელშეკრულება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნაზე. წლის განმავლობაში გამართულად ფუნქციონირებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილები, განხორციელდა ჭაბურღილებისათვის მიწოდებული ელ.ენერჯის სიმძლავრის გაზრდა. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა. 2023 წელს მიმდინარეობდა სასმელი წყლის სისტემების დაზიანების შემთხვევაში წერტილოვანი შეკეთება, დაფინანსდა ჭაბურღილებზე გახარჯული ელ. ენერჯის ხარჯი. განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა, წლის განმავლობაში, საჭიროების შესაბამისად, სხვადასხვა ლოკაციებზე გაიწმინდა 14226 გრძ. მ. სანიაღვრე არხი. განხორციელდა სოფელ ჯულაანში ცენტრალური გზის მიმდებარედ ახალი სანიაღვრე არხის მოწყობის და ქ. თელავში, რობაქიძის ქუჩის მონაკვეთზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის სამუშაოები.

გარე - განათებით უზრუნველყოფის მიზნით გაიხარჯა 1796,97 ათასი ლარი, განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე - განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსება: გარე - განათებაზე გახარჯული ელექტრო ენერჯის ხარჯის ანაზღაურება, გარე - განათების დაზიანებულ მონაკვეთების შეკეთება, სადენების აღდგენა, მწყობრიდან გამოსული სანათების შეცვლა. განხორციელდა სოფელ კონდოლში, სოფელ ყარაჯალაში, სოფელ შალაურში, სოფელ აკურაში, სოფელ ართანაში, სოფელ ნაფარელში, სოფელ წინანდალში და სოფელ ქვ. ხოდაშენში გარე-განათების ახალი ქსელის მოწყობის სამუშაოები; მოეწყო ახალი აღრიცხვის კვანძები.

მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარებისათვის საკასო ხარჯმა შეადგინა 1476,09 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურების უზრუნველყოფა ((ა)აიპ თელავის სატრანსპორტო სამსახურის დაფინანსება); მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება ავტობუსების (2 ერთეული) შექმნაზე, მიწოდება განხორციელდება 2024 წელს. გაფორმდა ხელშეკრულება ქ. თელავში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მოდერნიზებული და ენერგოეფექტური მოსაცდელების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნაზე, მომსახურების მიწოდება და ანაზღაურება განხორციელდება 2024 წელს.

ბინათმშენებლობის ღონისძიებების მიმართულებით გახარჯულმა თანხამ 2023 წელს შეადგინა 2901,48 ათასი ლარი. მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შექმნილი საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით ამხანაგობების მიერ წამოჭრილი თემების განხილვის შედეგად, საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად, ბინათმშენებლობის ამხანაგობების თანადაფინანსების პრინციპით - ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენებით დაფინანსდა სახურავების, სადარბაზოების და სხვ. რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია/შეკეთების ღონისძიებები. განხორციელდა ბმა ყადორი 5"-ის, ქეთევან წამბულის #5, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბმა კავკასიონის #57, კავკასიონის #57, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის, სადარბაზოს და სადარბაზოს კარების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბმა „კავკასიონის 2008“, კავკასიონის ქ #37ა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბმა ალაზნის გამზირის #38 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს და სადარბაზოს კარების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბმა ალაზნის გამზირის #20 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბმა „გვირილა-8"-ის, დავით აღმაშენებლის ქ #62, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბმა „კავკასია"-ს, კავკასიონის ქ #45 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს და სადარბაზოს კარების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბმა „ალაზნის ველი", ალაზნის გამზ #14, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბმა „ერთობა", თაყაიშვილის ქ#1-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის

სარეაბილიტაციო სამუშაოები; ზმა „კავკასია-1“-ის, კავკასიონის ქ #47ა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს და სადარბაზოს კარების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ზმა „თეთრი სახლი“-ს, ერეკლე მეორეს გამზირის #1, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები; თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების ახალი სახურავების მოწყობის სამუშაოები. ალაზნის გამზირის N20 ფსადის რეაბილიტაცია, სპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით გაგრძელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები. გაფორმდა ხელშეკრულებები ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე კორპუსი #8, 10, 12, 14, 16, 18, 20, 24 და ნ. დუმბაძის ქ. #17, 19, აღმაშენებლის გამზ. კორპ #62, კავკასიონის ქ. კორპ #31, 35, 39, 41, 45ა, 45ბ, 45გ, 47, 47ბ, 49, 51, 57, 59, 61 და კავკასიონის შეს. #2, შოთა რუსთაველის გამზირის N 27, 66, 68, 53, 86, 88, 90, 102, 104, 106, 108,69, 71, 73, 75, 77, 79, 110, 112, 114, 116, 118, 85, 87, 91 საცხოვრებელი კორპუსების შესასვლელებისა და ეზოების რეაბილიტაციის სამუშაოებზე; 2023 წლის 02 სექტემბერს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა და სეტყვა) შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოებზე.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განსახორციელებლად გაიხარჯა 13267,0 ათასი ლარი, შექმნილი იქნა საწვავი ისეთი მექანიზმებისათვის როგორც არის გრეიდერი, ექსკავატორი, ბულდოზერი, ავტო თვითმცლელი და სხვ რომლის საშუალებითაც შესრულდა სხვადასხვა სახის სამუშაოები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. გაფორმდა ხელშეკრულება ქ. თელავში მშვიდობის ქუჩის მიმდებარედ არსებულ გზაგამყოფ გამწვანებულ ზოლში სახელმწიფო დროშის სადროშე 40მ სიმაღლის ზოძით და ფუნდამენტით მოწყობის სამუშაოებზე, სამუშაოები გაგრძელდა 2024 წელს. დაფინანსდა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სასმელი წყლის „სოკო“-ებზე გახარჯული წყლის ღირებულების ანაზღაურება. „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების“ ფარგლებში განხორციელდა ქ. თელავის ქუჩების დამისამართება, სტანდარტიზაცია, საინფორმაციო დაფების მოწყობის სამუშაოები, ქ. თელავში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები; ქ. თელავში, ჩოხელის და ბახტრიონის ქუჩებს შორის არსებული ხევის მიმდებარე ტერიტორიის ურბანული განახლება მრავალფუნქციური რეკონსტრუქციული სივრცეების მოწყობის სამუშაოები; ქალაქ თელავში საგზაო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შუქნიშნების მოწყობის სამუშაოები; ქ. თელავში, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური სპორტული მოედნის და რეკონსტრუქციული სივრცეების მოწყობის სამუშაოები; მიმდინარეობდა ქალაქ თელავში საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციურ ობიექტებთან მისასვლელი გზის და პარკინგის მოწყობის სამუშაოები; პარკი „ნადიკვარის“ ტერიტორიაზე დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობის სამუშაოები; საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჩოგბურთის კორტების მოდერნიზების სამუშაოები, ოთხივე სეზონზე ფუნქციონირებისათვის; ქ. თელავის აღმოსავლეთ ნაწილის ურბანული განახლება „მშვიდობის პარკის“ მოწყობის სამუშაოები; ქალაქ თელავის ურბანული განახლება ალაზნის გამზირის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სამუშაოები; ქ. თელავში გივი ჩოხელის სახელობის საფეხბურთო სტადიონზე არსებული სათადარიგო ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები რომელიც გრძელდება 2024 წელს.

სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების დაფინანსების საკასო ხარჯმა შეადგინა 55,08 ათასი ლარი; განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების დასუფთავება/მოწესრიგება. გატანილი იქნა სასაფლაოების ტერიტორიებიდან სხვადასხვა სახის ნაგავი.

საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების საკასო ხარჯმა შეადგინა 9,83 ათასი ლარი;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ითვალისწინებს დასახლებაში დასახლებების საერთო კრებების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების და მასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებების დაფინანსებას. 2023 წელს გახარჯულმა თანხამ შეადგინა 792,62 ათასი ლარი. 2023 წელს დასრულდა სოფ. წინანდალში, სოფ. ნაფარულში და სოფ. ლაფანყურში სატრენაჟორე დარბაზის რეაბილიტაციის და მოწყობის სამუშაოები. 2023 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ გამოყოფილი თანხებით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა სოფ. აკურაში საბავშვო ბაღის ოთახების რეაბილიტაცია; სოფ. ვანთაში სპორტული ინვენტარის შექმნა და გარე-განათების ახალი ქსელის მოწყობა; სოფ. ბუშეტში სკვერის მოწყობა შესაბამისი ინვენტარით; სოფ. ქვ. ხოდაშენში არსებული ჭაბურღილის რეაბილიტაცია; სოფ. წინანდალში არსებულ ჭაბურღილთან სამარაგე რეზერვუარის მოწყობა; სოფ. ნასამხრალში ღია სივრცეში ტრენაჟორების მოწყობა; სოფ. კონდოლში გარე-განათების ახალი ქსელის მოწყობა; სოფ. შალაურში გარე-განათების ახალი ქსელის მოწყობა; სოფ. კურდელაურში არსებული მინი მოედნის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; სოფ. ლალისყურში საბავშვო ბაღის ეზოში ბილიკის მოწყობა და საბავშვო ბაღის ეზოს ჭიშკრის შეცვლა და სასმელი წყლის ქსელის ამოცვლა; სოფ. ლეჩურში სავარგულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა; სოფ. ართანაში შიდა საუბნო გზების მოხრეშვა; სოფ. ნაფარულში ყოფილი ფოსტის შენობაში არსებული სპორტ. დარბაზის სრული რეაბილიტაცია და სველი წერტილების მოწყობა; სოფ. თეთრწყლებში საჯარო სკოლის ეზოს შემოღობვა; სოფ. ნადიკვარში სავარგულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა და ბოგირების მოწყობა; სოფ. სეროდანში და სოფ. პანტიანში სეროდანი-პანტიანის დამაკავშირებელი გზის

მოხრეშვა; სოფ. კობაძეში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის და შიდა საუბნო გზების მოხრეშვა; სოფ. ვარდისუბანში არსებულ ხელოვნურსაფარიან მინი მოედანზე ტრიბუნების მოწყობა და მაგიდის ჩოგბურთის განთავსება-გადახურვა; სოფ. ყარაჯალაში გარე-განათების ახალი ქსელის მოწყობა; სოფ. რუისპირში გარე-განათების ახალი ქსელის მოწყობა; სოფ. ახატელში არსებულ ჭაბურღილთან სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა; სოფ. იყალთოში სასმელი წყლის რეზერვუარების მოწყობა. 2024 წელს გრძელდება: სოფ. კისისხევში სკვერის მოწყობა შესაბამისი ინვენტარით; სოფ. ფშაველში არსებული სკვერის რეაბილიტაცია და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა; სოფ. სანიორეში სოფლის ცენტრში არსებული სკვერის რეაბილიტაცია; სოფ. ჯულაანში არსებული სკვერის კეთილმოწყობა შესაბამისი ინვენტარით; სოფ. გულგულაში სკვერის მოწყობა შესაბამისი ინვენტარით და საბავშვო ატრაქციონებით; სოფ. ლაფანყურში სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის საკასო ხარჯმა შეადგინა 61,48 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა "ცივის მთის კალთაზე სათავგადასავლო მარშრუტების დაგეგმვისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის და თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში არსებული კემპინგის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა.

გაზომარაგების სისტემის მოწყობის ღონისძიებების საკასო ხარჯმა შეადგინა 335,46 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფ. ლეჩურში გაზომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები.

ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფისათვის დაგეგმილი დაფინანსებიდან საკასო ხარჯმა შეადგინა 1133,16 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტში კომფორტული გარემოს შექმნისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტერიტორიაზე სანიტარულ სისუფთავეს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ქალაქ თელავის ქუჩების ყოველდღიურად დაგვა და დასუფთავება. 2022 წელს გაფორმდა ხელშეკრულება 3 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების (ახალი თვითმცვლელი) შესყიდვაზე. ანაზღაურება განხორციელდა 2023 წელს.

გარემოს დაცვის ღონისძიებების (გამხმარი და საფრთხის შემცველი ხეების ვარჯის ფორმირება), საკასო ხარჯმა შეადგინა 81,19 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საჭიროების შესაბამისად, გამხმარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრა-ვარჯის ფორმირებისათვის ღონისძიებების დაფინანსება; ქ. თელავში ჭადრის ხის ფიტოსანიტარული მომსახურება.

პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების საკასო ხარჯმა შეადგინა 84,65 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა დასასვენებელი პარკების, სკვერების და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობა, ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება, რომელიც საშუალებას იძლევა გაიზარდოს მწვანე საფარი. ჩატარებული იქნა სხვადასხვა სახის სამუშაოები (მწვანე საფარის გათიბვა, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვლა, მწვანე ნარგავების მორწყვა, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა და სხვა);

მიუსაფარი ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების განსახორციელებლად დაფინანსების საკასო ხარჯმა შეადგინა 120,0 ათასი ლარი პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიუსაფარი ცხოველების (ძაღვები) თავშესაფარში დროებით გადაყვანის და შესაბამისი მომსახურების გაწევა;

განათლების მიმართულებით 2023 წელს დაიხარჯა 7686,28 ათასი ლარი, მათ შორის სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების საკასო ხარჯმა შეადგინა 7230,94 ათასი ლარი; სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის საკასო ხარჯი - 12,99 ათასი ლარი. განხორციელდა ქ. თელავის N 1 ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა, სოფელ წინანდალის და სოფელ აკურის ბაგა-ბაღის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურება; 2023 წელს გაფორმდა ხელშეკრულება ქ. თელავის N1 ბაგა ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებზე, სამუშაოები გაგრძელდა 2024 წელს. ასევე, სოფელ წინანდალის N2 ბაგა ბაღის გეოლოგიური დასკვნის შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით შექმნაზე გაფორმდა ხელშეკრულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდა 2024 წელს. პროფესიული განათლების ხელშეწყობის ა(ა)იპ თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი დაფინანსების საკასო ხარჯმა შეადგინა 118,59 ათასი ლარი; საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებების საკასო ხარჯმა კი შეადგინა 323,76 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ღონისძიებები; თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ართანის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები, სოფელ იყალთოს საჯარო სკოლის ელ.გაყვანილობის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 2022-2023 სასწავლო წლის თელავის მუნიციპალიტეტის სკოლების წარჩინებულ კურსდამთავრებულთათვის წახალისება ფულადი საჩუქრით.

სპორტის სფეროს განვითარებაზე გამოყოფილი დაფინანსებიდან საკასო ხარჯმა შეადგინა 3745,74 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება „თელავი“, ა(ა)იპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა „თელავი“; ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები; განხორციელდა მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდობის სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, 2023 წელს განხორციელდა ქ.თელავში, სოხუმის ქუჩაზე მინი

სტადიონის მოწყობის სამუშაოები; ქალაქ თელავში, ქართული უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სოფელ აკურაში მინი მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები; სოფელ ბუშეტში ხელოვნურსაფარიანი მინი მოედნის მოწყობის სამუშაოები; სოფელ შალაურში ხელოვნურსაფარიანი მინი მოედნის მოწყობის სამუშაოები; ქ. თელავში, ჩოხელის სახელობის საფეხბურთო სტადიონზე არსებული სათადარიგო მოედნისათვის ელ.ენერჯის აღრიცხვის კვანძის მოწყობა. ქ. თელავში თამაზ ანთაძის სახელობის სპორტული სკოლის შენობის ვიტრაჟის რეაბილიტაციის სამუშაოები, შეძენილი იქნა სპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. გაფორმდა ხელშეკრულება და დაიწყო სამუშაოები სოფელ ნაფარულში და სოფელ სანიორეში მინი სტადიონის მოწყობაზე, ქ. თელავში მირიან ცალქალამანიძის სახელობის ჭიდაობის სპორტული სკოლის იატაკის და კედლების რეაბილიტაციაზე, რომელიც გაგრძელდა 2024 წელს.

კულტურის სფეროს განვითარებაზე გამოყოფილი დაფინანსებიდან საკასო ხარჯმა შეადგინა 2861,87 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის სახელობის თელავის №1 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის “საბიბლიოთეკო გაერთიანება”, ა(ა)იპ ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა, სსიპ - ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, ჩატარდა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, განხორციელდა ქ. თელავში საბავშვო ბიბლიოთეკის რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფელ ვარდისუბნის კულტურის სახლის შენობის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების სპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. გაფორმდა ხელშეკრულება თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების სპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა - საკასო ხარჯმა შეადგინა 17,39 ათასი ლარი; პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა; ა(ა)იპ დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანება - საქართველოს სტუდენტური პარლამენტის პროექტის „I see you-ადმოაჩინე საქართველო“-ს ფარგლებში, 5 დღის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობა მიიღო 12 ახალგაზრდამ. ჩატარდა „ეტალონის გუნდური ჩემპიონატი“ თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის; წლის ბოლოს ჩატარდა ახალგაზრდული საახალწლო შეხვედრა, დაჯილდოვდნენ სპორტის სხვადასხვა მიმართულებით მოღვაწე წარმატებული სპორტსმენები.

ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობის პროგრამა დაფინანსდა 40,0 ათასი ლარით;

მეგლთა დაცვის ღონისძიებების დაფინანსების საკასო ხარჯმა შეადგინა 123,24 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა კისისხევის კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულების კვლევითი მომსახურების შესყიდვა; ქ. თელავში, დაბახნების წყაროს რეაბილიტაცია და კეთილმოწყობის სამუშაოები;

დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობის დაფინანსების საკასო ხარჯმა შეადგინა 387,01 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. თელავში და თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში 22 ერთეული ენერჯო ეფექტური სკამის შეძენისა და სამონტაჟო სამუშაოები. მიმდინარეობდა ქ. თელავში კავკასიონის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები; გაფორმდა ხელშეკრულება ქ. თელავში, ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული სკვერის (მაწანწრის სკვერი) სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქ. თელავში, ქართული უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (მინი სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე) სკვერის მოწყობის, სოფ. რუისპირში (სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე) სკვერის მოწყობის, ქ. თელავში, თამარის ქუჩაზე არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოების და ქ. თელავში, კოსტავას ქუჩაზე არსებული „9 აპრილის“ სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოების სპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე.

2023 წელს თელავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის დახმარებების და სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფისათვის, როგორცაა: ოპერაციული, სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების დაფინანსება, მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების შესაძენად ფინანსური დახმარება, მრავალშვილიან ოჯახების დახმარება, ახალდაბადებულთა ოჯახების დახმარება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა მკვეთრად გამოხატული შ.შ.მ პირთა (18 წლამდე) შვილების დახმარება, მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ (სამაჩაბლო-აფხაზეთი) დევნილ და უპატიონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების დაფინანსება, საერო და რელიგიურ დღესასწაულებზე სხვადასხვა კატეგორიის ადამიანებისთვის სასაჩუქრე ამანათების გაცემა (მათ შორის ფულადი) და სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება, სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მყოფი მოქალაქეებისათვის ზამთრის სეზონზე სათბობით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, კომუნალური გადასახადების (ბუნებრივი აირი, ელექტროენერჯია) სუბსიდირება, დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პირების დახმარება, უფასო სასადილოთი მომსახურების პროგრამა და სხვა, დაფინანსდა 3010,90 ათასი ლარით; ხოლო ჯანდაცვის მიმართულებით გაიხარჯა - 380,06 ათასი ლარი, აქედან ააიპ თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი დაფინანსდა 161,46 ათასი ლარით,

ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხიდან გაიხარჯა 218,60 ათასი ლარი, განხორციელდა სოფელ ართანაში ამბულატორიის ახალი შენობის მშენებლობის სამუშაოები და სოფელ ლეჩურში ამბულატორიის მშენებლობის სამუშაოები. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამისათვის განხორციელებისათვის საკასო ხარჯმა შეადგინა 12,54 ათასი ლარი.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსების საკასო ხარჯმა შეადგინა 7530,67 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

თელავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მშენებლობა, რეაბილიტაცია, რომელიც გულისხმობს, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას, რეაბილიტაციას და ახლის მშენებლობას. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება საგზაო, სანიაღვრე, გარე განათების სარეაბილიტაციო სამუშაოები, წყალმომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებები, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამები, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა და სხვა.

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტული მაჩვენებელი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	49668.90	27856.71	21812.19	35905.55	20054.38	15851.17	72.29
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	16124.04	6360.67	9763.37	12230.43	5774.99	6455.44	75.85
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	15397.64	6360.67	9036.97	11932.05	5774.99	6157.06	77.49
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	354.10	0.00	354.10	191.24	0.00	191.24	54.01
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	372.30	0.00	372.30	107.14	0.00	107.14	28.78
02 02	წყლის სისტემების განვითარება	3743.06	0.00	3743.06	2979.10	0.00	2979.10	79.59
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	1832.52	0.00	1832.52	1125.08	0.00	1125.08	61.40
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	1365.28	0.00	1365.28	1313.78	0.00	1313.78	96.23
02 02 03	ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებები	545.25	0.00	545.25	540.24	0.00	540.24	99.08
02 03	გარე განათება	1814.58	0.00	1814.58	1796.97	0.00	1796.97	99.03
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	1410.00	0.00	1410.00	1399.95	0.00	1399.95	99.29
02 03 02	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია/მოწყობა	404.58	0.00	404.58	397.02	0.00	397.02	98.13

კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტული მაჩვენებელი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები და გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები და გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	1534.80	0.00	1534.80	1476.09	0.00	1476.09	96.18
02 04 01	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები	284.80	0.00	284.80	274.80	0.00	274.80	96.49
02 04 02	მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება	1250.00	0.00	1250.00	1201.29	0.00	1201.29	96.10
02 05	ბინათმშენებლობის ღონისძიებები	7178.71	4748.08	2430.62	2901.48	1380.34	1521.13	40.42
02 05 01	სახურავების, სადარბაზოების და სხვა რეკონსტრუქცია შეკეთების ღონისძიებები	7178.71	4748.08	2430.62	2901.48	1380.34	1521.13	40.42
02 06	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	17522.77	16218.65	1304.11	13267.00	12503.32	763.68	75.71
02 06 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოები	404.11	0.00	404.11	30.43	0.00	30.43	7.53
02 06 02	სასმელი წყლის „სოკო“	5.00	0.00	5.00	1.35	0.00	1.35	26.93
02 06 03	სრიგპ-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ღონისძიებები	17,113.66	16,218.65	895.00	13,235.23	12,503.32	731.90	77.34
02 07	სარიტუალო ღონისძიებები	59.31	0.00	59.31	55.08	0.00	55.08	92.87
02 07 01	სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	59.31	0.00	59.31	55.08	0.00	55.08	92.87
02 08	საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	18.50	0.00	18.50	9.83	0.00	9.83	53.14
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებები	1058.61	529.30	529.30	792.62	395.73	396.89	74.87
02 10	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	262.48	0.00	262.48	61.48	0.00	61.48	23.42
02 12	გაზომარაგების სისტემის მოწყობის ღონისძიებები	352.07	0.00	352.07	335.46	0.00	335.46	95.28

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (02 01)
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე, მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. ქალაქის ქუჩების და სოფლის გზების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე, საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოებს, რომელიც თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ყოველწლიურად. მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ქუჩების ნაწილი. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული გზების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმოული და ეკრანული შეკეთება), რომელიც განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებიც მოითხოვს შეკეთებას; საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა არსებული გადასასვლელების და საგზაო ნიშნების მოვლა-პატრონობა, ახალი ნიშნების დამატება, სიჩქარის შემზღვევადი ბარიერების მოწყობა და სხვა.</p> <p>პროგრამის საბოლოო მიზანია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია; არსებული გზების ვარგის მდგომარეობაში შენარჩუნება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას: მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;</p> <p>მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის;</p> <p>მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა;</p>		
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; გზების ექსპლუატაციის გაზრდილი პერიოდი; ადგილობრივი გზების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>კაპიტალურად შეკეთებული გზები, რომლითაც სარგებლობა არის უსაფრთხო და კომფორტული.</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი</p>	<p>გზების კაპიტალური შეკეთება (02 01 01)</p>		
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფელ აკურის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (გომალას უბანი); სოფელ კისისხევში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (N17 გზა); სოფელ ფშავლის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (ბანაკის უბანი); სოფელ კურდელაურის N5 ქუჩის რეაბილიტაცია; ქ. თელავში ჩოლოყაშვილის ქუჩის ნაწილის რეაბილიტაცია; სოფელ კონდოლში, სოფლის ბოლოში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოასფალტება; სოფელ შალაურში, მე-17 ქუჩის ბოლო მონაკვეთის და მე-16 ქუჩის მოასფალტება; სოფელ შალაურში, სკოლის გზის მოასფალტება; სოფელ იყალთოში, ამბულატორიის გზის მოასფალტება; სოფელ რუისპირში, სოფლის თავში მდებარე სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია/მოასფალტება; სოფელ ყარაჯალაში, სასაფლაოსთან მიმავალი გზის მოასფალტება; სოფელ ლალისყურში შიდა საუბნო გზების მოასფალტება; ქ.თელავში, იოსებ დავითაშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ქ. თელავში ლეონიძე დავითაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია; სოფელ სანიორის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია; ქ. თელავში, ჭონქაძეს ქუჩის რეაბილიტაცია; ქ. თელავში ჭონქაძის ქუჩის II ჩიხის რეაბილიტაცია; ქ. თელავში ნინოშვილის ქუჩის რეაბილიტაცია; ქ. თელავში ლესია უკრაინკა და ფირუზ მახათელაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია; სოფელ თეთრიწყლების შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი); ბოჭორიძეების ქუჩის რეაბილიტაცია; სოფელ ართანის შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია ქ. თელავში, ვახტანგ</p>		

	<p>სენიაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია; ქ. თელავში, ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხრეთით მდებარე გზის რეაბილიტაცია; სოფელ თეთრიწყლებში (ნადიკვარი) შიდა საუბნო გზის დამცავი რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები. შეძენილი იქნა საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, პროექტების გადაფასების მომსახურება; გაფორმდა ხელშეკრულებები და დაიწყო სამუშაოები ქ. თელავში ჭადრის ქუჩის, ქ. თელავში იროდიონ ევდოშვილის ქუჩის, ქ. თელავში სამაჩაბლოს ქუჩის, ქ. თელავში ყაზბეგის ქუჩის, ქ. თელავში რობაქიძის ქუჩის რეაბილიტაციის, სოფელ ახატელში შიდა საუბნო გზის მოასფალტების, სოფელ ნასამხრალში, შიდა საუბნო გზის მოასფალტების (რკინიგზის უბანი), სოფელ გულგულაში, შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის (სანიაღვრე არხების მოწყობით, ოხანაშვილების უბანი), რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაციის, მუსხელიშვილის ქუჩის მიმდებარე გზის რეაბილიტაციის, სოფელ ვარდისუბნის გზის (მარგალიტაშვილების უბანი), ქ. თელავში ქლუხორის ქუჩის რეაბილიტაციის, თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვანთაში შიდა საუბნო გზის (ნუსხელიძეების უბანი) მოასფალტების, ქ. თელავში თამარის ქუჩის ნაწილის და ჩოდრიშვილის ქუჩის II ჩიხის რეაბილიტაციის, რომელიც გრძელდება 2024 წელს. გაფორმდა ხელშეკრულებები საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე.</p>		
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება;</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>კაპიტალურად შეკეთებული გზები, რომლითაც სარგებლობა არის უსაფრთხო და კომფორტული.</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი</p>	<p>გზების მიმდინარე შეკეთება (02 01 02)</p>		
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის სამუშაოები თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ყოველწლიურად, მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ბოლო წლების მანძილზე რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული გზების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმოული/ეკრანული შეკეთება), რომელიც განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებიც მოითხოვს შეკეთებას, 2023 წელს სამუშაოები განხორციელდა 5570 კვ.მ-ზე. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია სამუშაოების 2024 წელს გაგრძელებით. პროექტის მიზანია არსებული გზების ექსპლოატაციის ვადის გაზრდა, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების პირობების შექმნა.</p>		
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</p>	<p>კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>შეკეთებული გზები, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი</p>	<p>საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება (02 01 03)</p>		
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეითად მოსიარულეთა და საგზაო ტრანსპორტის მოწესრიგებული მოძრაობისათვის და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია მოხდეს სხვადასხვა სახის საგზაო ნიშნების, შუქნიშნებისა და ქვეითთა გადასასვლელების მოწესრიგება. წლის განმავლობაში საჭიროების შესაბამისად განხორციელდა სხვადასხვა ლოკაციებზე საგზაო მონიშნების დახაზვა (290,18მ²), შუქნიშნებზე გახარჯული ელ.ენერგიის ანაზღაურება, უსაფრთხოების მიზნით თოვლიანი</p>		

	<p>ამინდის შემთხვევაში საავტომობილო გზების თოვლისგან გაწმენდა. მოთხოვნის და საჭიროების შესაბამისად, სხვადასხვა ლოკაციებზე მოეწყო სიჩქარის შემზღვევითი ბარიერები, საერთო სიგრძით 367,0 გრძ.მ. მოხდა სხვადასხვა ლოკაციებზე ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება (54 ცალი). განხორციელდა ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მოვლა-პატრონობა. გაფორმდა ხელშეკრულება თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული ზოგადი ხედვის და სახელმწიფო ნომრის ამომცნობი კამერების შესყიდვა/რეაბილიტაციის და ახალი სამეთვალყურეო კამერების მონტაჟის მომსახურებაზე. ხელშეკრულება გრძელდება 2024 წელს. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია ქვეპროგრამის ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიებით, გარდამავალი ხელშეკრულებით და ქ. თელავში არსებული სამეთვალყურეო კამერების რეაბილიტაცია/მოწყობის სამუშაოებისათვის გათვალისწინებული თანხის ნაწილობრივ აუთვისებლობით, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ცვლილებების საწიროების გამო.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანი: საგზაო მოძრაობის მოწესრიგება. უსაფრთხო გარემოს შექმნა.</p>		
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</p>	<p>მოწესრიგებული საგზაო ნიშნები და გადასასვლელები უსაფრთხო გადაადგილების მიზნით</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>მოწესრიგებულია საგზაო ნიშნები და გადასასვლელები</p>

<p>პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი</p>	<p>წყლის სისტემების განვითარება (02 02)</p>		
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>		
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამა ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფლებში არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციის, არსებული სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის, ჭაბურღილების გამართული ფუნქციონირებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ანაზღაურდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული წყლის ჭაბურღილების ფუნქციონირებისათვის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯები.</p> <p>მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - სასმელი წყლის მიწოდება; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. <p>პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას: მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;</p> <p>მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა;</p> <p>მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.</p>		
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</p>	<p>სასმელი წყლით უზრუნველყოფა</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>სასმელი წყლით უზრუნველყოფა</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი</p>	<p>სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია (02 02 01)</p>		
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში, სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა სხვადასხვა სამუშაოები, 2023 წელს განხორციელდა სოფელ ლალისყურში სასმელი წყლის ახალი სათავე - ნაგებობების და ქსელის მოწყობის სამუშაოები; სოფელ ართანაში და სოფელ შალაურში სასმელი წყლის ახალი ჭაბურღილების მოწყობის სამუშაოები; სოფელ წინანდალში არსებულ ჭაბურღილში ჩაყრილი ქვა-ლორდის ამოზღვრის სამუშაოები; სოფელ ქვ. ხოდაშენში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია; ქვეპროგრამის დაფინანსების ფარგლებში განხორციელდა აგრეთვე სასმელი წყლის</p>		

	<p>ჭაბურღილების მოვლა-პატრონობა. 2023 წელს გაფორმდა ხელშეკრულებები და დაიწყო სამუშაოები სოფელ იყალთოში და სოფელ კონდოლში სასმელი წყლის ჭაბურღილების მოწყობაზე, სოფელ თეთრწყლებში სასმელი წყლის ჭაბურღილთან ელ. გადაცემის ხაზის მოწყობაზე, სოფელ წინანდალში ჭაბურღილის რეაბილიტაციაზე, რომელიც გაგრძელდა 2024 წელს. გაფორმდა ხელშეკრულება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნაზე. წლის განმავლობაში გამართულად ფუნქციონირებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილები, განხორციელდა ჭაბურღილებისათვის მიწოდებული ელ.ენერჯის სიმძლავრის გაზრდა. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა. დაგეგმილი იყო სოფელ ლაფანყურში, სასმელი წყლის სათავე კვანძების შემკრები რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები, რომელიც ვერ განხორციელდა. გეგმის შეუსრულებლობა აგრეთვე გამოწვეულია ქვეპროგრამის ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიებით და დაწყებული სამუშაოების 2024 წელს გაგრძელებით.</p> <p>მიზანი: მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	გაუმჯობესებული წყალმომარაგება	მიღწეული შედეგი	რეაბილიტირებული სასმელი წყლის სისტემები

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია (02 02 02)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამით განხორციელდა სასმელი წყლის სისტემების დაზიანების შემთხვევაში წერტილოვანი შეკეთება, საჭიროების შესაბამისად, წლის განმავლობაში, ამოიცვალა დაზიანებული სასმელი წყლის მილები (10591 მ); სოფელ ვარდისუბანში არსებული სასმელი წყლის რეზერვუარის (V -7500მ3) გაწმენდის და დეზინფექციის სამუშაოები. დაფინანსდა ჭაბურღილებზე გახარჯული ელ. ენერჯის ანაზღაურება. ქვეპროგრამის მიზანია წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	სასმელი წყლის სისტემები და ჭაბურღილები ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.	მიღწეული შედეგი	სასმელი წყლის სისტემები და ჭაბურღილები ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ღონისძიებები (02 02 03)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამით განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა, წლის განმავლობაში, საჭიროების შესაბამისად, სხვადასხვა ლოკაციებზე გაიწმინდა 14226 მ სანიაღვრე არხი. განხორციელდა სოფელ ჯულაანში ცენტრალური გზის მიმდებარედ ახალი სანიაღვრე არხის მოწყობის და ქ. თელავში, რობაქიძის ქუჩის მონაკვეთზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის სამუშაოები.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: თავიდან იქნეს აცილებული ქუჩების დატბორვა და ასფალტის საფარის დაზიანება.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	დაცულია ქუჩები დატბორვისაგან და ასფალტის საფარი დაზიანებისაგან.	მიღწეული შედეგი	თელავის მუნიციპალიტეტში არსებული ნიაღვრეგამტარი არხების გამართული ფუნქციონირება

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	გარე - განათება (02 03)		
--	--------------------------------	--	--

პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: გარე განათების დაზიანებულ მონაკვეთების შეკეთება, სადენების აღდგენა, მწყობრიდან გამოსული სანათების შეცვლა, ექსპლუატაცია გაეწია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ დაახლოებით 470 კმ სიგრძის გზის გარე განათების ქსელს, მოხდა გარე - განათებაზე გახარჯული ელექტრო ენერჯის ხარჯის ანაზღაურება. იმ მონაკვეთებში, სადაც არ არსებობს გარე - განათება მოეწყო ახალი გარე განათების ქსელი და აგრეთვე განხორციელდება არსებულის რეაბილიტაცია/აღდგენა და ახალი კვანძების მოწყობა.</p> <p>მიზანი: გარე განათების ქსელის გაფართოება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა</p> <p>პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას: მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის; მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა; მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	გარე - განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.	მიღწეული შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე - განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	გარე - განათების სისტემის ექსპლუატაცია (02 03 01)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსება: გარე განათებაზე გახარჯული ელექტრო ენერჯის ხარჯის ანაზღაურება, გარე-განათების დაზიანებულ მონაკვეთების შეკეთება, სადენების აღდგენა, მწყობრიდან გამოსული სანათების შეცვლა,</p> <p>მიზანი: გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების ოპერატიულად აღმოფხვრა.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	გარე - განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.	მიღწეული შედეგი	მთელი წლის მანძილზე გარე - განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად.

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	გარე - განათების სისტემის რეაბილიტაცია/მოწყობა (02 03 02)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფელ კონდოლში, სოფელ ყარაჯალაში, სოფელ შალაურში, სოფელ აკურაში, სოფელ ართანაში, სოფელ ნაფარეულში, სოფელ წინანდალში და		

	სოფელ ქვ. ხოდაშენში გარე-განათების ახალი ქსელის მოწყობის სამუშაოები; მოეწყო ახალი აღრიცხვის კვანძები. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის გარე განათებით მაქსიმალურად უზრუნველყოფა.		
დადგენილი საბოლოო შედეგი	უსაფრთხო და კომფორტული გარემო	მიღწეული შედეგი	დამატებით მოწყობილია ახალი გარე განათების ქსელი

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები (02 04 01)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება ავტობუსების (2 ერთეული) შეძენაზე, მიწოდება განხორციელდება 2024 წელს. გაფორმდა ხელშეკრულება ქ. თელავში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მოდერნიზებული და ენერგოეფექტური მოსაცდელის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნაზე, მომსახურების მიწოდება და ანაზღაურება განხორციელდება 2024 წელს.

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები (02 04 02)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის სატრანსპორტო სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალური ტრანსპორტის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურების დაფინანსება. მუნიციპალურმა ტრანსპორტი ფუნქციონირებს შემდეგი მიმართულებებით:</p> <p>ავტობუსი N 1 ბაზარი, ალაზნის გამზირი, სეხნიაშვილის ქუჩა, კავკასიონის ქუჩა, ვარდისუბნის წრიული, ჭავჭავაძის გამზირი (მაწანწარა), ქ.წამებულის ქუჩა, ერეკლე II-ის მოედანი, გ.არსენიშვილის ქუჩა, საავადმყოფო, უნივერსიტეტის ქუჩა, ზუზუმბო, დავით რექტორის ქუჩა (თაყაიშვილის ქუჩის კორპუსებთან), გოგებაშვილის ქუჩა, ჩოხელის ქუჩა, ბაზარი.</p> <p>ავტობუსი N 2 ბაზარი, ალაზნის გამზირი, აჩინებულის, სეხნიაშვილის ქუჩა, კავკასიონის ქუჩა, ქ.წამებულის ქუჩა, ერეკლე II-ის მოედანი, პოლიკლინიკა, საავადმყოფო, ფალიაშვილის ქუჩა, კოლეჯი, უნივერსიტეტი, ჩოხელის ქუჩა, ბაზარი.</p> <p>ავტობუსი N 3 თელიანი ველი, მშვიდობის ქუჩა, რუსთაველის გამზირი, ჭავჭავაძის გამზირი (გერმანული სკოლა), ბაზარი, ქ.წამებულის ქუჩა, ბახტრიონის ქუჩა, უნივერსიტეტი, კოლეჯი, ფალიაშვილის ქუჩა, საავადმყოფო, ლეონიძის ქუჩა (სპორტსკოლა სტადიონი), ნადიკვრის ქუჩა, ერეკლე II-ის მოედანი, ჭავჭავაძის გამზირი (თი-ბი-სი ბანკი), რუსთაველის გამზირი, თელიანი ველი,</p> <p>ავტობუსი N 4 ბაზარი, ჭავჭავაძის გამზირი, თამარის ქუჩა, ფიროსმანის ქუჩა, მშვიდობის ქუჩა, ფიროსმანის ქუჩა, თამარის ქუჩა, რუსთაველის გამზირი (თი-ბი-სი ბანკის წრიული) ქვაფენილის ავლით, ერეკლე II -ის გამზირი (იუსტიციის სახლი), პოლიკლინიკა, საავადმყოფო, კოლეჯი, უნივერსიტეტი, ჩოხელის ქუჩა, ბაზარი.</p> <p>ავტობუსი N 5 სადგურის ქუჩა (სამმართველოს გზა), ალაზნის გამზირი, სეხნიაშვილის ქუჩა, კავკასიონის ქუჩა, ქ. წამებულის ქუჩა, ერეკლე II-ის გამზირი, გ. არსენიშვილის ქუჩა, საავადმყოფო, კოლეჯი, უნივერსიტეტი, ჩოხელის ქუჩა, ბაზარი, ჭავჭავაძის გამზირი, თი-ბი-სი ბანკი (წრიული), რუსთაველის გამზირი, მშვიდობის ქუჩა (რკინიგზის სადგური).</p> <p>ავტობუსი N 6 ბაზარი, აღმაშენებლის გამზირი, გოშაძის ქუჩა სულხანიშვილის გავლით,</p>

<p>კურდღელაური (სამმართველოს გზა), კურდღელაურის ქუჩა, რუსთაველის გამზირი (თი-ბი-სი-ს წრიული), ბაზარი, ქ. წამებულის ქუჩა, ერეკლე II-ის გამზირი, გ. არსენიშვილის ქუჩა, საავადმყოფო, კოლეჯი, უნივერსიტეტი, ჩოხელის ქუჩა (სანაპირო), ბაზარი.</p> <p>ავტობუსი N 7 სოფ. შალაური თამარის ქუჩა (მერვე სკოლა) (მეორე სკოლა), ჭავჭავაძის გამზირი, ბაზარი, წეთევან წამებულის ქუჩა, მოედანი, არსენიშვილის ქუჩა, საავადმყოფო, კოლეჯი, უნივერსიტეტი, ჩოხელის ქუჩა, ბაზარი, ჭავჭავაძის გამზირი, თამარის ქუჩა, სოფ. შალაური.</p> <p>ავტობუსი N 8 სოფ. ვარდისუბანი ვარდისუბნის წრიული, ჭავჭავაძის გამზირი (მაწანწარა), ქეთევან წამებულის ქუჩა, მოედანი, არსენიშვილის ქუჩა, საავადმყოფო, კოლეჯი, უნივერსიტეტი, ჩოხელის ქუჩა, ბაზარი, აღმაშენებლის გამზირი, ვარდისუბნის წრიული, სოფ. ვარდისუბანი.</p> <p>ტრანსპორტი მოძრაობს დილის 8:00-სთ-დან საღამოს 19:30-სთ-მდე. მიზანი: მუნიციპალური ტრანსპორტის შეუფერხებელი ფუნქციონირება.</p>			
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა	მიღწეული შედეგი	მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ბინათმშენებლობის ღონისძიებები (02 05)		
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შექმნილი საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით ამხანაგობების მიერ წამოჭრილი თემების განხილვის შედეგად, საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად, ბინათმშენებლობის თანადაფინანსების პრინციპით - ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენებით დაფინანსდა სახურავების, სადარბაზოების და სხვ. რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია/შეკეთების ღონისძიებები. თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების ახალი სახურავების მოწყობის სამუშაოები. მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები. 2023 წლის 02 სექტემბერს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა და სეტყვა) შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები.</p> <p>მიზანი: ბინათმშენებლობის თანადაფინანსების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;</p> <p>პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას : მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;</p> <p>მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა;</p> <p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	გაუმჯობესებულია ბინათმშენებლობის თანადაფინანსების და კერძო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა	მიღწეული შედეგი	გაუმჯობესებულია ბინათმშენებლობის თანადაფინანსების და კერძო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სახურავების, სადარბაზოების და სხვა რეკონსტრუქცია შეკეთების ღონისძიებები (02 05 01)
---	---

<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შექმნილი საერთო პრობლემების გადაჭრის მიზნით ამხანაგობების მიერ წამოჭრილი თემების განხილვის შედეგად, საკრებულოს მიერ მიღებული წესის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების პრინციპით - ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენებით დაფინანსდა სახურავების, სადარბაზოების და სხვ. რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია/შეკეთების ღონისძიებები. განხორციელდა ბმა ყადორი 5"-ის, ქეთევან წამებულის #5, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბმა კავკასიონის #57, კავკასიონის #57, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის, სადარბაზოს და სადარბაზოს კარების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბმა „კავკასიონის 2008“, კავკასიონის ქ. #37ა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბმა ალაზნის გამზირის #38 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს და სადარბაზოს კარების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბმა ალაზნის გამზირის #20 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბმა „გვირილა-8“-ის, დავით აღმაშენებლის ქ #62, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბმა „კავკასია“-ს, კავკასიონის ქ #45 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს და სადარბაზოს კარების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბმა „ალაზნის ველი“, ალაზნის გამზ #14, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბმა „ერთობა“, თაყაიშვილის ქ#1-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბმა „კავკასია-1“-ის, კავკასიონის ქ #47ა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს და სადარბაზოს კარების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბმა „თეთრი სახლი“-ს, ერეკლე მეორეს გამზირის #1, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოების სარეაბილიტაციო სამუშაოები; თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების ახალი სახურავების მოწყობის სამუშაოები. ალაზნის გამზირის N20 ფასადის რეაბილიტაცია, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის/გადაფასების მომსახურების შესყიდვა. რეგიონებში განასახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით გაგრძელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები. გაფორმდა ხელშეკრულებები ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე კორპუსი #8, 10, 12, 14, 16, 18, 20, 24 და ნ. დუმბაძის ქ. #17, 19, აღმაშენებლის გამზ. კორპ #62, კავკასიონის ქ. კორპ #31, 35, 39, 41, 45ა, 45ბ, 45გ, 47, 47ბ, 49, 51, 57, 59, 61 და კავკასიონის შეს. #2, შოთა რუსთაველის გამზირის N 27, 66, 68, 53, 86, 88, 90, 102, 104, 106, 108,69, 71, 73, 75, 77, 79, 110, 112, 114, 116, 118, 85, 87, 91 საცხოვრებელი კორპუსების შესასვლელებისა და ეზოების რეაბილიტაციის სამუშაოებზე; 2023 წლის 02 სექტემბერს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა და სეტყვა) შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოებზე. სამუშაოები გრძელდება 2024 წელს. გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების და სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის დაწყებული სამუშაოების 2024 წელს გაგრძელებით;</p> <p>მიზანი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა; საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;</p>		
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</p>	<p>გაუმჯობესებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და კერძო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>გაუმჯობესებულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და კერძო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა</p>

<p>პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის ღონისძიებები (02 06)</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>
<p>პროგრამის აღწერა და</p>	<p>პროგრამის განხორციელებისას შექმნილი იქნა საწვავი ისეთი მექანიზმებისათვის როგორც</p>

მიზანი	<p>არის გრეიდერი, ექსკავატორი, ბულდოზერი, ავტო თვითმცლელი და სხვ რომლის საშუალებითაც შესრულდა სხვადასხვა სახის სამუშაოები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. გაფორმდა ხელშეკრულება ქ. თელავში მშვიდობის ქუჩის მიმდებარედ არსებულ გზაგამყოფ გამწვანებულ ზოლში სახელმწიფო დროშის სადროშე 40მ სიმაღლის ბოძით და ფუნდამენტით მოწყობის სამუშაოებზე, სამუშაოები გაგრძელდა 2024 წელს, განხორციელდა ქ. თელავში არსებული სასმელი წყლის „სოკოების“ მოვლა - პატრონობის ღონისძიებები, „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული ღონისძიებები წარმოშობილი პრობლემების დროულად აღმოფხვრა, კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა.</p> <p>პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას: მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა;</p> <p>მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა;</p> <p>მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.</p>
--------	--

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის ღონისძიებები (02 06 01)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის განხორციელებისას შეძენილი იქნა საწვავი ისეთი მექანიზმებისათვის როგორც არის გრეიდერი, ექსკავატორი, ბულდოზერი, ავტო თვითმცლელი და სხვ რომლის საშუალებითაც შესრულდა სხვადასხვა სახის სამუშაოები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. გაფორმდა ხელშეკრულება ქ. თელავში მშვიდობის ქუჩის მიმდებარედ არსებულ გზაგამყოფ გამწვანებულ ზოლში სახელმწიფო დროშის სადროშე 40მ სიმაღლის ბოძით და ფუნდამენტით მოწყობის სამუშაოებზე, სამუშაოები გაგრძელდა 2024 წელს, აგრეთვე, დაგეგმილი იყო სპეციალური ტექნიკის (ექსკავატორ-დამტვირთველი) შეძენა, ექსკავატორ დამტვირთველის შეძენაზე გამოცხადებულ, გასაჩივრებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებით, დავების განხილვის საბჭომ საჩივარი ნაწილობრ დააკმაყოფილა. ვინაიდან ელექტრონული ტენდერის შემდგომი პროცედურები მოითხოვს გარკვეულ დროს და ვერ მოესწრებოდა ხელშეკრულების გაფორმება 2023 წელს, ტენდერი შეწყდა. აღნიშნულმა გამოიწვია გეგმის შეუსრულებლობა.</p>

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სასმელი წყლის „სოკო“ (02 06 02)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სასმელი წყლის „სოკო“-ებზე გახარჯული წყლის ღირებულების ანაზღაურება ფაქტობრივი დანახარჯის გათვალისწინებით, რამაც გამოიწვია გეგმის შეუსრულებლობა.

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სრიგპ-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ღონისძიებები (02 06 03)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული ღონისძიებები. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ქ. თელავის ქუჩების დამისამართება, სტანდარტიზაცია, საინფორმაციო დაფების მოწყობის სამუშაოები, ქ. თელავში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები; ქ. თელავში,

	<p>ჩოხელის და ბახტრიონის ქუჩებს შორის არსებული ხევის მიმდებარე ტერიტორიის ურბანული განახლება მრავალფუნქციური რეკონსტრუქციული სივრცეების მოწყობის სამუშაოები; ქალაქ თელავში საგზაო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შუქნიშნების მოწყობის სამუშაოები; ქ. თელავში, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური სპორტული მოედნის და რეკონსტრუქციული სივრცეების მოწყობის სამუშაოები; მიმდინარეობდა ქალაქ თელავში საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციურ ობიექტებთან მისასვლელი გზის და პარკინგის მოწყობის სამუშაოები; პარკი „ნადიკვარის“ ტერიტორიაზე დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობის სამუშაოები; საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჩოგბურთის კორტების მოდერნიზების სამუშაოები, ოთხივე სეზონზე ფუნქციონირებისათვის; ქ. თელავის აღმოსავლეთ ნაწილის ურბანული განახლება „მშვიდობის პარკის“ მოწყობის სამუშაოები; ქალაქ თელავის ურბანული განახლება ალაზნის გამზირის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სამუშაოები; ქ. თელავში გივი ჩოხელის სახელობის საფეხბურთო სტადიონზე არსებული სათადარიგო ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელიც გრძელდება 2024 წელს.</p> <p>ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია ქალაქ თელავის როგორც ურბანული ცენტრის სოციალური ეკონომიკური როლის გაძლიერება, ურბანული ტერიტორიების განვითარება.</p>		
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</p>	<p>კეთილმოწყობილი გარემო, ქ. თელავის ტურისტული პოტენციალის ზრდა.</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>კეთილმოწყობილი გარემო, ქ. თელავის ტურისტული პოტენციალის ზრდა.</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი</p>	<p>სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (02 07 01)</p>		
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების დასუფთავება/მოწესრიგება. გატანილ იქნა სასაფლაოების ტერიტორიებიდან სხვადასხვა სახის ნაგავი. მიზანი: მოწესრიგებული სასაფლაოები.</p>		
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</p>	<p>მოვლილი და მოწესრიგებული სასაფლაოები.</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>მოვლილი და მოწესრიგებული სასაფლაოები.</p>

<p>პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი</p>	<p>საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობის და რეაბილიტაციის ღონისძიებები (02 08)</p>		
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>		
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის დაფინანსების ფარგლებში განხორციელდა ქ. თელავის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. შიდა და გარე საკანალიზაციო ქსელის დაზიანების გამო ერთი საპირფარეშო არ ფუნქციონირებდა 2023 წლის განმავლობაში, რამაც გამოიწვია გეგმის შეუსრულებლობა. მიზანი: საზოგადოებრივი საპირფარეშოების ფუნქციონირება პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას: მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა; მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.</p>		

<p>პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი</p>	<p>სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებები (02 09)</p>		
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>		

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ითვალისწინებს დასახლებაში დასახლებების საერთო კრებების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების და მასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებების დაფინანსებას.</p> <p>2023 წელს დასრულდა სოფ. წინანდალში, სოფ. ნაფარულში და სოფ. ლაფანყურში სატრენაჟორე დარბაზის რეაბილიტაციის და მოწყობის სამუშაოები. 2023 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ გამოყოფილი თანხებით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა სოფ. აკურაში საბავშვო ბაღის ოთახების რეაბილიტაცია; სოფ. ვანთაში სპორტული ინვენტარის შექმნა და გარე-განათების ახალი ქსელის მოწყობა; სოფ. ბუშეტში სკვერის მოწყობა შესაბამისი ინვენტარით; სოფ. ქვ. ხოდაშენში არსებული ჭაბურღილის რეაბილიტაცია; სოფ. წინანდალში არსებულ ჭაბურღილთან სამარაგე რეზერვუარის მოწყობა; სოფ. ნასამხრალში ღია სივრცეში ტრენაჟორების მოწყობა; სოფ. კონდოლში გარე-განათების ახალი ქსელის მოწყობა; სოფ. შალაურში გარე-განათების ახალი ქსელის მოწყობა; სოფ. კურდღელაურში არსებული მინი მოედნის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; სოფ. ლალისყურში საბავშვო ბაღის ეზოში ბილიკის მოწყობა და საბავშვო ბაღის ეზოს ჭიშკრის შეცვლა და სასმელი წყლის ქსელის ამოცვლა; სოფ. ლეჩურში სავარგულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა; სოფ. ართანაში შიდა საუბნო გზების მოხრეშვა; სოფ. ნაფარულში ყოფილი ფოსტის შენობაში არსებული სპორტ. დარბაზის სრული რეაბილიტაცია და სველი წერტილების მოწყობა; სოფ. თეთრწყლებში საჯარო სკოლის ეზოს შემოღობვა; სოფ. ნადიკვარში სავარგულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა და ბოგერების მოწყობა; სოფ. სეროდანში და სოფ. პანტიანში სეროდანი-პანტიანის დამაკავშირებელი გზის მოხრეშვა; სოფ. კობაძეში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის და შიდა საუბნო გზების მოხრეშვა; სოფ. ვარდისუბანში არსებულ ხელოვნურსაფარიან მინი მოედანზე ტრიბუნების მოწყობა და მაგიდის ჩოგბურთის განთავსება-გადახურვა; სოფ. ყარაჯალაში გარე-განათების ახალი ქსელის მოწყობა; სოფ. რუისპირში გარე-განათების ახალი ქსელის მოწყობა; სოფ. ახატელში არსებულ ჭაბურღილთან სასმელი წყლის რეზერვუარის მოწყობა; სოფ. იყალთოში სასმელი წყლის რეზერვუარების მოწყობა. 2024 წელს გრძელდება: სოფ. კისისხევში სკვერის მოწყობა შესაბამისი ინვენტარით; სოფ. ფშაველში არსებული სკვერის რეაბილიტაცია და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა; სოფ. სანიორეში სოფლის ცენტრში არსებული სკვერის რეაბილიტაცია; სოფ. ჯუღანაში არსებული სკვერის კეთილმოწყობა შესაბამისი ინვენტარით; სოფ. გულგულაში სკვერის მოწყობა შესაბამისი ინვენტარით და საბავშვო ატრაქციონებით; სოფ. ლაფანყურში სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია.</p> <p>მიზანი: დასახლების საჭიროებებიდან გამომდინარე ღონისძიებების განხორციელება.</p> <p>პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას მიზანი 6: წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა;</p> <p>მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა;</p> <p>მიზანი 11: ქლაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება;</p> <p>მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური.</p>		
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</p>	<p>დასახლების საჭიროებებიდან გამომდინარე, პრიორიტეტების გათვალისწინებით ღონისძიებების განხორციელება.</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>დასახლების საჭიროებებიდან გამომდინარე, პრიორიტეტების გათვალისწინებით ღონისძიებების განხორციელება.</p>

<p>პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი</p>	<p>ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (02 10)</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდა "ცივის მთის კალთაზე სათავგადასავლო მარშრუტების დაგეგმვისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის და თელავის</p>

	მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში არსებული კემპინგის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა. დაგეგმილი იყო აგრეთვე, სოფელ ვარდისუბანში კემპინგის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, აღნიშნული სამუშაო ვერ განხორციელდა, რამაც გამოიწვია გეგმის შეუსრულებლობა.
--	---

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	გაზომარაგების სისტემის მოწყობის ღონისძიებები (02 12)
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფ. ლეჩურში გაზომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები.

დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა ქ. თელავის ქუჩების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და სხვა ღონისძიებები.

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			შესრულებული პროცენტული მაჩვენებელი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1724.72	0.00	1724.72	1419.00	0.00	1419.00	82.27
03 01	დასუფთავების ღონისძიებები	1165.00	0.00	1165.00	1133.16	0.00	1133.16	97.27
03 02	გარემოს დაცვის ღონისძიებები	95.92	0.00	95.92	81.19	0.00	81.19	84.65
03 03	პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	283.80	0.00	283.80	84.65	0.00	84.65	29.83
03 04	მიუსაფარი ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები	180.00	0.00	180.00	120.00	0.00	120.00	66.67

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	დასუფთავების ღონისძიებები (03 01)
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>მუნიციპალიტეტში კომფორტული გარემოს შექმნისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტერიტორიაზე სანიტარულ სისუფთავეს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ქალაქ თელავის ქუჩების ყოველდღიურად დაგვა და დასუფთავება. 2022 წელს გაფორმდა ხელშეკრულება 3 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების (ახალი თვითმცლელი) შესყიდვაზე. ანაზღაურება განხორციელდა 2023 წელს. მიზანი: სუფთა გარემოს უზრუნველყოფა</p> <p>პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.</p>		
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</p>	<p>დასუფთავებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორია</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>წლის განმავლობაში დასუფთავებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორია</p>

<p>პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი</p>	<p>გარემოს დაცვის ღონისძიებები (03 02)</p>		
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>		
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საჭიროების შესაბამისად, გამზარი და საფრთხის შემცველი ხეების მოჭრა-ვარჯის ფორმირებისათვის ღონისძიებების დაფინანსება; ქ. თელავში ჭადრის ხის ფიტოსანიტარული მომსახურება.</p>		

<p>პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი</p>	<p>პარკების, სკვერებისა და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (03 03)</p>		
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>		
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდა დასასვენებელი პარკების, სკვერების და სხვა გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობა. ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება, რომელიც საშუალებას იძლევა გაიზარდოს მწვანე საფარი. ჩატარებული იქნა სხვადასხვა სახის სამუშაოები (მწვანე საფარის გათიბვა, მწვანე ბალახის დაგროვება და გატანა, ხე-მცენარეების დეკორატიული სხვა, მწვანე ნარგავების მორწყვა, მცენარეების ირგვლივ გამარგვლა და სხვა); დაიგეგმა ქ. თელავში ცენტრალურ ნაწილში სარწყავი სისტემის მოწყობა, გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია ქ. თელავში ცენტრალურ ნაწილში სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერის „არ შედეგ“ შედეგით დასრულებით; მიზანი: მოვლილი მწვანე ნარგავები და განახლებული მწვანე საფარი.</p>		
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</p>	<p>განხორციელებულია გამწვანების ღონისძიებები, უზრუნველყოფილია ნარგავების და არსებული მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა.</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>მთელი წლის განმავლობაში მოწესრიგებულია გამწვანებული ტერიტორიები.</p>

<p>პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი</p>	<p>მიუსაფარი ცხოველებისგან მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები (03 04)</p>		
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური</p>		
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიუსაფარი ცხოველების (მაღლები) თავშესაფარში დროებით გადაყვანის და შესაბამისი მომსახურების გაწევის დაფინანსება. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია მიუსაფარი ცხოველების</p>		

განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის სტრატეგიული მიზანია, სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწას, კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას და სხვა.სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფრასტრუქტურას. განხორციელდება მისი გაუმჯობესებისათვის რეაბილიტაცი-ექსპლოატაციის ღონისძიებები.

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			შესრულების პროცენტული მაჩვენებელი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
04 00	განათლება	8817.81	290.79	8527.02	7686.28	286.46	7399.83	87.17
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	7864.50	0.00	7864.50	7230.94	0.00	7230.94	91.94
04 02	სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	505.2	9.49	495.73	12.99	9.49	3.51	2.57
04 03	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	120.00	0.00	120.00	118.59	0.00	118.59	98.82
04 04	საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები	328.09	281.30	46.79	323.76	276.97	46.79	98.68

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (04 01)
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>თელავის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. პროგრამის განხორციელების მიზანია სტანდარტების შესაბამისად სააღმზრდელო მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, სახანძრო უსაფრთხოებისა და ჰიგიენური ნორმების დაცვა. თელავის მუნიციპალიტეტში 32 ბაგა-ბაღია, სადაც ირიცხებოდა 2615 აღსაზრდელი. განხორციელდა ბაგა ბაღებისათვის სათამაშოების რბილი ფაზლი-ხალიჩის (ტატამი) შექმნა, თელავის NI ბაგა ბაღის და სოფელ ვარდისუბნის ბაგა ბაღის ავეჯის შექმნა და სხვა.</p> <p>პროგრამის მიზანი: სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სრულფასოვანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.</p> <p>პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა</p>

	ყველასათვის; მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა.	მიღწეული შედეგი	შესაფერისი უნარ ჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა (04 02)
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. თელავის N 1 ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა, სოფელ წინანდალის და სოფელ აკურის ბაგა-ბაღის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურება; 2023 წელს გაფორმდა ხელშეკრულება ქ. თელავის N1 ბაგა ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებზე, სამუშაოები გაგრძელდა 2024 წელს. ასევე, სოფელ წინანდალის N2 ბაგა ბაღის გეოლოგიური დასკვნის შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით შექმნა გაფორმდა ხელშეკრულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდა 2024 წელს. ყოველივე ზემოაღნიშნულმა გამოიწვია გემის შეუსრულებლობა.</p> <p>მიზანი: სკოლამდელი დაწესებულებების არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას მიზანი 4: ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის;</p> <p>მიზანი 9: მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა.</p> <p>პროგრამის განხორციელების შედეგად, ბავშვებს შეეძენებათ უსაფრთხო გარემო, შეიქმნება მომავალი თაობისათვის გონებრივი და ზნეობრივი განვითარებისათვის სათანადო პირობები.</p>

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება (04 03 01)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)პ თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში არსებულ წრეებში გაერთიანებული მოსწავლეები იმდღეებენ ცოდნის დონეს. მეცადინეობები მოიცავს როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილს. ფუნქციონირებდა მათემატიკის, რუსულის, ინგლისურის, ქართული ლიტერატურის, ხატვის, დიზაინის, თექის, კულინარიის, ხაზვის, ჭადრაკის, სიმღერის, ფანდურის, ცეკვის, თეატრალურის, ფოტოხელოვნების წრეები და კერამიკის შემსწავლელი კურსები. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ღონისძიებებში. წრეობრივ მეცადინეობებში ჩართული იყო 328 მოზარდი.</p> <p>მიზანი: მოსწავლეთა განათლების დონის ამაღლება და შემეცნებითი თვალსაწიერის გაფართოება.</p>

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	საშუალო ზოგადი განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები(04 04)
--	--

პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ღონისძიებები; თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ართანის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები, სოფელ იყალთოს საჯარო სკოლის ელ.გაყვანილობის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 2022-2023 სასწავლო წლის თელავის მუნიციპალიტეტის სკოლების წარჩინებულ კურსდამთავრებულთათვის წახალისება ფულადი საჩუქრით. მიზანი: სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულების მხარდაჭერა. საჯარო სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	რეაბილიტირებული და მოწესრიგებული საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება	მიღწეული შედეგი	რეაბილიტირებულია და მოწესრიგებულია საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა. უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება

კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

თელავის მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავებას, სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნას, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობას, მონაწილეობის მიღებას რესპუბლიკურ ღონისძიებებზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკებში წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ – ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განახლება.

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			შესრულებული პროცენტული მაჩვენებელი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	8615.64	0.00	8615.64	7175.25	0.00	7175.25	83.28
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	4384.94	0.00	4384.94	3745.74	0.00	3745.74	85.42
05 01 01	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2114.34	0.00	2114.34	1537.78	0.00	1537.78	72.73
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2167.60	0.00	2167.60	2112.65	0.00	2112.65	97.46
05 01 03	სპორტული ღონისძიებები	103.00	0.00	103.00	95.31	0.00	95.31	92.53
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3319.48	0.00	3319.48	2861.87	0.00	2861.87	86.21

კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			შესრულებული პროცენტული მაჩვენებელი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
05 02 01	კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა	2799.16	0.00	2799.16	2509.55	0.00	2509.55	89.65
05 02 02	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	236.32	0.00	236.32	187.77	0.00	187.77	79.45
05 02 03	კულტურული ღონისძიებები	284.00	0.00	284.00	164.56	0.00	164.56	57.94
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	78.00	0.00	78.00	17.39	0.00	17.39	22.29
05 03 01	ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	78.00	0.00	78.00	17.39	0.00	17.39	22.29
05 04	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	40.00	0.00	40.00	40.00	0.00	40.00	100.00
05 05	ძეგლთა დაცვის ღონისძიებები	124.19	0.00	124.19	123.24	0.00	123.24	99.24
05 06	დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა	669.03	0.00	669.03	387.01	0.00	387.01	57.85

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სპორტის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 01)		
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება თელავი, ააიპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა თელავი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდა სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სპორტული მოედნების მოწყობა, სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა შეკრებების უზრუნველყოფა, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება და სხვა. მიზანი: სპორტის განვითარების ხელშეწყობა		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სპორტული ორგანიზაციების გამართული ფუნქციონირება, სპორტის სახეობებში ჩართული ბავშვთა და მოზარდთა გაზრდილი რაოდენობა	მიღწეული შედეგი	სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სპორტული ორგანიზაციების გამართული ფუნქციონირება.

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 01)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდობის სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, განხორციელდა ქ.თელავში, სოხუმის ქუჩაზე მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები; ქალაქ თელავში, ქართული უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ არსებული მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სოფელ აკურაში მინი მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები; სოფელ ბუშეტში ხელოვნურსაფარიანი მინი მოედნის მოწყობის სამუშაოები; სოფელ შალაურში ხელოვნურსაფარიანი მინი მოედნის მოწყობის სამუშაოები; ქ. თელავში, ჩოხელის სახელობის საფეხბურთო სტადიონზე არსებული სათადარიგო მოედნისათვის ელ.ენერჯის აღრიცხვის კვანძის მოწყობა. ქ. თელავში თამაზ ანთაძის სახელობის სპორტული სკოლის შენობის ვიტრაჟის რეაბილიტაციის სამუშაოები, შეძენილი იქნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. გაფორმდა ხელშეკრულება და სამუშაოები დაიწყო სოფელ ნაფარულში და სოფელ სანიორეში მინი სტადიონის მოწყობაზე, ქ. თელავში მირიან ცალქალამანიძის სახელობის ჭიდაობის სპორტული სკოლის იატაკის და კედლების რეაბილიტაციაზე, რომელიც გაგრძელდა 2024 წელს, რამაც გამოიწვია გეგმის შეუსრულებლობა.</p> <p>მიზანი: სპორტის განვითარების ხელშეწყობა</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება	მიღწეული შედეგი	სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (05 01 02)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება, ა(ა)იპ - თელავის საფეხბურთო სკოლა თელავი, ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება „თელავი“, ა(ა)იპ თელავის ჭიდაობის სპორტული სკოლა „თელავი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას. ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ფიზიკურ აქტივობებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობას. მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარებას. ნაკრები გუნდების მომზადებას და მონაწილეობას სხვადასხვა დონის სპორტულ ღონისძიებებში. სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული ასპარეზობას; მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდობის სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით სხვადასხვა სახეობებში სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობას. სპორტული ორგანიზაციების მიერ განხორციელდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება, მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ტურნირებში. საერთაშორისო ტურნირებში და ჩემპიონატებში. ბავშვებმა და მოზარდებმა წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში, როგორც გუნდურში, ასევე ინდივიდუალურში და მიაღწიეს წარმატებებს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული ორგანიზაციები: ა(ა)იპ თელავის სასპორტო გაერთიანება - დაზუსტებული გეგმა 460,2 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 412,31 ათასი ლარი; ა(ა)იპ თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება „თელავი“ - გეგმა 847,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 845,42 ათასი ლარი; ა(ა)იპ თელავის საფეხბურთო სკოლა „თელავი“ - გეგმა 360,40 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 358,29 ათასი ლარი; ა(ა)იპ ჭიდაობის სპორტული სკოლა „თელავი“ - გეგმა - 500,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 496,63 ათასი ლარი, 2023 წლის განმავლობაში სპორტული სახეობების შესწავლით დაკავებული იყო 1743 ბავშვი და მოზარდი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შემდეგი</p>		

	სპორტული ობიექტები - ჩოგბურთის კორტები, რომელიც მრავალი საერთაშორისო ტურნირის მასპინძელია, საფეხბურთო სკოლა, თ.ანთამის სახელობის სპორტული სკოლა, მ.ცალქალამანიძის სახელობის ჭიდაობის სპორტული სკოლა, სოფელ ვარდისუბანში ჭიდაობის დარბაზი, სოფელ იყალთოში მკლავჭიდის დარბაზი და ა.შ. სპორტული ორგანიზაციების ფუნქციონირების მიზანია სპორტის პოპულარიზაცია, ბავშვებსა და მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა და აქტიური ჩართვა სპორტის სხვადასხვა სახეობებში.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია, სპორტის სახეობებში ჩართული ბავშვთა და მოზარდთა გაზრდილი რაოდენობა	მიღწეული შედეგი	სპორტული ორგანიზაციების გამართული ფუნქციონირება.

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სპორტული ღონიძიებები (პროგრამული კოდი 05 01 03)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. ჩატარდა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და საქართველოს პაუერლიფტინგის ფედერაციის ორგანიზებით, ქ. თელავში ძალისმიერ სამჭიდსა და წოლჭიმის სახეობებში გიორგი რეხვიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საქართველოს თასის გათამაშება; 2023 წლის 4 მარტს სტარტი აიღო „საქათველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიად“-ის რეგიონალურმა თამაშებმა. სპორტის 7 სახეობიდან, თელავის მუნიციპალიტეტმა რეგიონალურ ეტაპზე 3 თამაშს უმასპინძლა: 3X3 კალათბურთი, ბადმინტონი, მაგიდის ჩოგბურთი. თელავის მუნიციპალიტეტის სახელით რეგიონალური თამაშებიდან ზონალურ თამაშებში გადასულია 3X3 კალათბურთი - ქ. თელავის N1 საჯარო სკოლა (ვაჟები); ბადმინტონი - ქ. თელავის N4 საჯარო სკოლა (ვაჟები-გოგონები); მაგიდის ჩოგბურთი - ქ. თელავის N9 საჯარო სკოლა (ვაჟები); ხელბურთი - სოფელ წინანდლის საჯარო სკოლა (გოგონები); ფრენბურთი - ქ. თელავის N9 საჯარო სკოლა (ვაჟები). 26-28 მაისს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში, თელავის მუნიციპალიტეტის მერიისა და „4 ვედე ოფროუდ კლუბი საქართველოს“ ორგანიზებით გაიმართა OFF-ROAD -ის მსოფლიო ჩემპიონატის RAINFOREST CHALLENGE - 2023 -ის წინა საფინალო ეტაპი - RFC CAUCASUS 2023. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის, საქართველოს კიკბოქსინგის ფედერაცია და თელავის კიკბოქსინგის კლუბი "ჯორჯია"-ის ორგანიზებით გაიმართა კიკბოქსინგის ჩემპიონატი - "კახეთის პროფი ივენთი 2". ჩემპიონატში საქართველოდან, ირანიდან და სომხეთიდან 60-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მინი სტადიონებისთვის შეძენილ იქნა სპორტული ინვენტარი. განხორციელდა ჩოგბურთის საერთაშორისო ტურნირის ორგანიზების თანადაფინანსება, კახეთის რეგიონში ქართული ჭიდაობის აღორძინებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით თანადაფინანსება და სხვა.</p> <p>მიზანი: მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა და მასობრივ სპორტში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა	მიღწეული შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02)		
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის		

	<p>სამსახური, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის სახელობის თელავის №1 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება", ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა</p>		
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამა ითვალისწინებს ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სათანადო მომზადებას და შემოქმედებითი კონცერტებში მონაწილეობას, მოსწავლეთა მზადებას და მონაწილეობას ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური და ფოლკლორული მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალებსა და კონკურსებში; მოზარდებში გარე-სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას, მატერიალურ - ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები. სხვადასხვა სახალხო და რელიგიური დღესასწაულებს ჩატარებას.</p> <p>მიზანი: კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, ხელოვნების ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა.</p> <p>პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.</p>		
<p>დაგეგმილი საბოლოო შედეგი</p>	<p>ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა.</p>	<p>მიღწეული შედეგი</p>	<p>ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა.</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება /ქვეპროგრამული კოდი</p>	<p>კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)</p>		
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ნიკო სულხანიშვილის სახელობის თელავის №1 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების - ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის "საბიბლიოთეკო გაერთიანება", ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი, ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>თელავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურის ორგანიზაციები, რომელთა 2023 წლის დაფინანსებებმა შეადგინა: ა(ა)იპ თელავის ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი - გეგმა 144,5 ათასი ლარი, საკასო შესრულება 123,65 ათასი ლარი; ა(ა)იპ ნიკო სულხანიშვილის სახელობის ქ.თელავის N1 სამუსიკო სკოლა - გეგმა 129,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 128,7 ათასი ლარი; ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - N2 სამუსიკო სკოლა - გეგმა 107,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 105,75 ათასი ლარი; ა(ა)იპ თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა - გეგმა 103,2 ათასი ლარი, საკასო შესრულება -103,17 ათასი ლარი; ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება - გეგმა 345,5 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 344,38 ათასი ლარი; ა(ა)იპ ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი - გეგმა 1546,96 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 1324,22 ათასი ლარი; ა(ა)იპ თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი - გეგმა 170,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 132,48 ათასი ლარი; ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა - გეგმა 64,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება - 63,96 ათასი ლარი,</p>		

	<p>ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა - გეგმა 119,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება 117,84 ათასი ლარი, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა - გეგმა 60,0 ათასი ლარი, საკასო შესრულება 55,39 ათასი ლარი.</p> <p>ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება აერთიანებს მუნიციპალიტეტის 27 ბიბლიოთეკას, წიგნადი ფონდია 441850. წიგნადი ფონდის აღწერის შედეგად მოხდება შინაარსობრივად მოძველებული დარგობრივი და გაცვეთილი წიგნების ჩამოწერა-გარიცხვა. ახალი წიგნების შეძენისას საბიბლიოთეკო გაერთიანება ითვალისწინებს მკითხველთა ინტერესებს. 2023 წელს საბიბლიოთეკო გაერთიანება აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტის კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობაში. დაიწყო თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების პროექტი „პირველად ბიბლიოთეკაში,“ რომელიც არის შესაძლებლობა ყველა სკოლამდელი აღსაზრდელისა და სკოლის მოსწავლეებისათვის გაეცნოს ბიბლიოთეკის არსს, საბიბლიოთეკო საქმიანობას და მის მნიშვნელობას ბავშვის ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტის მასშტაბით სკოლისა და ბაღის ბავშვები სტუმრობდნენ ბიბლიოთეკას და დაკავდნენ სხვადასხვა აქტივობებით, პროექტებითა და სამაგიდო თამაშებით. ადგილობრივი, საერო, რელიგიური და სხვადასხვა დღესასწაულების აღნიშვნა მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის, რომლის ხელისშემწყობი და განმახორციელებელი ა(ა)იპ ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი. სამუსიკო სკოლებში სწავლობს 457 მოსწავლე. სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ფესტივალებსა და კონკურსებში, დაიკავეს საპრიზო ადგილები, მოიპოვეს გრანპრი, დაჯილდოვდნენ ოქროს მედლებით. ა(ა)იპ თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა გამოფენებში. 2023 წლის ნოემბერში ქ. ბათუმში ჩატარდა ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლასთან არსებულმა ანიმაციის ჯგუფის და სოფელ ნაფარეულის ანიმაციის ჯგუფის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო მოსწავლეების მიერ შექმნილი ანიმაციური ფილმი „ამოსუნთქე“ რომელმაც დაიმსახურა სპეციალური პრიზი. მიზანი: მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარება. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მოწყობა</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	კულტურულ, სახელოვნებო, დაწესებულებათა ხელშეწყობა.	მიღწეული შედეგი	კულტურულ, სახელოვნებო, დაწესებულებათა ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება /ქვეპროგრამული კოდი	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 02 02)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. თელავში საბავშვო ბიბლიოთეკის რეაბილიტაციის სამუშაოები, სოფელ ვარდისუბნის კულტურის სახლის შენობის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციის შესყიდვა. გაფორმდა ხელშეკრულება თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციის შესყიდვაზე.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	კულტურის ობიექტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	მიღწეული შედეგი	კულტურის ობიექტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის დასახელება /ქვეპროგრამული კოდი	კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 03)		
---	---	--	--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამით გათვალისწინებული იყო სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების, სახელოვნებო და საგანმანათლებლო ინიციატივების, კონცერტების, გამოფენების, ფესტივალების განხორციელება და ხელშეწყობა წლის განმავლობაში. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია პროგრამით დაგეგმილი ღონისძიებების განუხორციელებლობით და განხორციელებული ღონისძიებების დაფინანსების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიით.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში;	მიღწეული შედეგი	მოსახლეობის აქტიური ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში;

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03)		
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა; ა(ა)იპ დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანება - საქართველოს სტუდენტური პარლამენტის პროექტის „I see you-აღმოაჩინე საქართველო“-ს ფარგლებში, 5 დღის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობა მიიღო 12 ახალგაზრდამ. ჩატარდა „ეტალონის გუნდური ჩემპიონატი“ თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის, პირველი ადგილი დაიკავა სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლამ; წლის ბოლოს ჩატარდა ახალგაზრდული საახალწლო შეხვედრა, დაჯილდოვდნენ სპორტის სხვადასხვა მიმართულებით მოღვაწე წარმატებული სპორტსმენები. დაგეგმილი იყო შემეცნებითი ბანაკების მოწყობა ახალგაზრდებისათვის. შეუსრულებლობა გამოწვეულია პროგრამით დაგეგმილი ღონისძიებების განუხორციელებლობით და ახალგაზრდებისათვის დაგეგმილი შემეცნებითი ბანაკის მოწყობისათვის გამოცხადებული ტენდერის შეწყვეტით, ვინაიდან პრეტენდენტის მიერ შესყიდვაში დაფიქსირებული თანხა 20%-ით და მეტი ნაკლები იყო შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე და მოითხოვებოდა ფასწარმოქმნის ადექვატურად დამამტკიცებელი დასკვნის წარმოდგენას, რაც სჭიროებდა გარკვეულ დროს და სატენდერო პირობების თანახმად, მომსახურების გაწევა ვერ განხორციელდებოდა შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში,</p> <p>პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თელავის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების განვითარებას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობას.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ახალგაზრდობის აქტიური ჩართვა ღონისძიებებში;	მიღწეული შედეგი	ახალგაზრდობის აქტიური ჩართვა ღონისძიებებში;

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 04)		
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა - ჟურნალ „ოლე“-ს და „საქართველოს მოამბე“-ს დაფინანსება.</p> <p>აღნიშნული პროგრამის განხორციელებით ხდება თელავის მუნიციპალიტეტში მოღვაწე მწერლების და პუბლიცისტების ნაწარმოებების გამოქვეყნება, დაწყები მწერლების გაცნობა საზოგადოებისათვის. პროგრამის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტში არსებული მხატვრულ-პუბლიცისტური გამომცემლობის ხელშეწყობა.</p>		

დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ჟურნალების შეუფერხებელი გამოცემა	მიღწეული შედეგი	ჟურნალების შეუფერხებელი გამოცემა
---------------------------------	----------------------------------	------------------------	----------------------------------

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ძეგლთა დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 05)		
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდა კისისხევის კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულების კვლევითი მომსახურების შესყიდვა; ქ. თელავში, დაბახნების წყაროს რეაბილიტაცია და კეთილმოწყობის სამუშაოები; ფოტოაპარატის შესყიდვა; პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	შენარჩუნებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.	მიღწეული შედეგი	შენარჩუნებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 06)		
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. თელავში და თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში 22 ერთეული ენერჯო ეფექტური სკამის შეძენისა და სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობდა ქ. თელავში კავკასიონის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები, გაფორმდა ხელშეკრულება ქ. თელავში, ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული სკვერის (მაწანწრის სკვერი) სარეაბილიტაციო სამუშაოების, ქ. თელავში, ქართული უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (მინი სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე) სკვერის მოწყობის, სოფ. რუისპირში (სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე) სკვერის მოწყობის, ქ. თელავში, თამარის ქუჩაზე არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოების და ქ. თელავში, კოსტავას ქუჩაზე არსებული „9 აპრილის“ სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე. დაგეგმილი იყო სოფ. რუისპირში (სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე) სკვერის მოწყობის, ქ. თელავში, ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული სკვერის (მაწანწრის სკვერი) ქართული უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (მინი სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე) სკვერის მოწყობის სამუშაოები, რომელიც ვერ განხორციელდა, რადგან აღნიშნული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გაწევა განხორციელდა დაგვიანებით. აღნიშნულმა გარემოებებმა გამოიწვია გეგმის შეუსრულებლობა. მიზანი: კომფორტული გარემოს შექმნა, მოწესრიგებული დასასვენებელი სივრცეები. პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევას მიზანი 11: ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	კომფორტული გარემოს შექმნა, მოწესრიგებული დასასვენებელი სივრცეები.	მიღწეული შედეგი	

ჯანმრთელობისა და დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და

შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. განხორციელდა სოციალურად დაუცველთა კვებით და ფართით უზრუნველყოფა, პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			შესრულებების პროცენტული მაჩვენებელი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3741.92	17.72	3724.20	3123.47	17.03	3106.44	83.47
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	482.03	17.72	464.31	211.98	17.03	194.95	43.98
06 01 01	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	140.00	0.00	140.00	121.18	0.00	121.18	86.56
06 01 02	ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებები	342.03	17.72	324.31	90.80	17.03	73.77	26.55
06 02	სოციალური დაცვა	3259.89	0.00	3259.89	2911.49	0.00	2911.49	89.31
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	33.20	0.00	33.20	32.72	0.00	32.72	98.55
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	309.70	0.00	309.70	289.70	0.00	289.70	93.54
06 02 02 01	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმ შვილების სოციალური დაცვა	7.80	0.00	7.80	5.40	0.00	5.40	69.23
06 02 02 02	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	301.90	0.00	301.90	284.30	0.00	284.30	94.17
06 02 03	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	823.00	0.00	823.00	822.68	0.00	822.68	99.96
06 02 04	ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	10.00	0.00	10.00	4.75	0.00	4.75	47.50
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	230.58	0.00	230.58	200.12	0.00	200.12	86.79
06 02 06	ვეტერანთა საზოგადოება	4.00	0.00	4.00	2.00	0.00	2.00	50.00
06 02 07	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე და თხევადი აირით დახმარების ღონისძიებები	82.00	0.00	82.00	73.72	0.00	73.72	89.90
06 02 08	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	82.00	0.00	82.00	80.40	0.00	80.40	98.05

კოდი	დასახელება	2023 წლის გეგმა			2023 წლის ფაქტი			შესრულ ების პროცენ ტული მაჩვენებ ელი
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარ ი შემოსავ ლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარ ი შემოსავ ლები	
06 02 09	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	65.30	0.00	65.30	61.62	0.00	61.62	94.37
06 02 10	სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები	1531.46	0.00	1531.46	1269.94	0.00	1269.94	82.92
06 02 11	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	71.25	0.00	71.25	56.50	0.00	56.50	79.30
06 02 14	1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება	2.40	0.00	2.40	2.35	0.00	2.35	97.92
06 02 15	საქართველოს წითელი ჯვრის თანადაფინანსება	15.00	0.00	15.00	15.00	0.00	15.00	100.00

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი (06 01 01)
ქვეპროგრამის განმახორციელებე ლი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიამხედველობა, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკის წარმოებისთვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება კომპეტენციის ფარგლებში. კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან. სოციალური მობილიზაციის ხელშეწყობა მოსახლეობის ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. გადამდებ დაავადებათა ეპიდემიამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები. პირველადი ეპიდ კვლევის განხორციელება, ეპიდ საწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა. პაპილომას საწინააღმდეგო ვაქცინაციის აპე (HPV) დანერგვა, პირველად ჯანდაცვაში C ჰეპატიტის, აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის ადრეული გამოვლენის სკრინინგის განხორციელება, გამოკვლეული იქნა 10700 ბენეფიციარი. განხორციელდა იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვის, განხორციელების ხელშეწყობა, მონაცემთა დამუშავება, ანალიზი, ვაქცინების და სხვა ასაცრელი მასალის გაცემა მუნიციპალიტეტის პუდ რგოლისათვის, 2023 წელს იმუნიზაციის ფარგლებში აიცრა 9575 ბენეფიციარი. მალარიის და სხვა ტრანსმისიური (დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო, ლეიშმანიოზი და სხვა) პრევენციის და კონტროლის გაუმჯობესების მიზნით გატარდა სხვადასხვა ღონისძიებები: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ინსექტიციდებით დამუშავება, დამუშავდა 1140 შენობა, განხორციელდა მალარიის პროფილაქტიკური იტერვენცია გუბეების ამოვსების გზით, აღრიცხულია 224 წყალსატევი. ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის მიზნით განხორციელდა თამბაქოს კონტროლის გაძლიერება მუნიციპალიტეტის ფარგლებში, კანონის იმპლემენტაციის მიზნით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები. მოწვევის აკრძალვის მონიტორინგი განხორციელდა, ჯამში შემოწმდა – 267 ობიექტი, სასწავლო (8), სამედიცინო (30), საჯარო/სახელმწიფო (6), კაფე/ რესტორანი (44), სასტუმრო (12), კინო/თეატრი (1), სილამაზის სალონი (32), სავაჭრო ობიექტები (84), ტრანსპორტი (48), მედია ორგანიზაცია - 1, სტადიონი, ტოტალიზატორი - 1; განხორციელებული ღონისძიებების მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება, მკურნალობაში დროული ჩართვა, ცნობიერების ამაღლება. მიზანი: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.</p>

	ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; ქვეპროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის. მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება	მიღწეული შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებები (06 01 02)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	განხორციელდა სოფელ ართანაში და სოფელ ლეჩურში ამბულატორიის ახალი შენობის მშენებლობის სამუშაოები. მიზანი: ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა		

პროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სოციალური დაცვა (06 02)		
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის დასოციალურ საკითხთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისთვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> - ახალშობილთა ოჯახების (სოციალურად დაუცველი) (ერთჯერადი) და მრავალშვილიანი ოჯახების (ყოველთვიური) დახმარებას; - სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების დაფინანსება/თანადაფინანსებას; - ჰემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების ტრანსპორტირების ხარჯებით უზრუნველყოფას; - სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების ყოველდღიურად, დღეში ერთჯერ, საკვებით უზრუნველყოფას; - ოჯახებს ვისაც აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ბინები ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი, ქირით უზრუნველყოფა. - სხვა სოციალურ ღონისძიებებს <p>სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფების მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა</p> <p>პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 2: შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გამუჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა; მიზანი 3: ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფების მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	მიღწეული შედეგი	სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფების მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ავადმყოფთა სოციალური დაცვა (06 02 01)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის დასოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პირთა სამედიცინო დაწესებულებამდე ტრანსპორტირების თანადაფინანსებას, ანაზღაურება ხორციელდება ყოველთვიურად. ქვეპროგრამით ისარგებლა 57 ბენეფიციარმა. გასაცემი თანხის ოდენობა განისაზღვრა დასახლებების ზონირების შესაბამისად.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	დაავადებულთა მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა.	მიღწეული შედეგი	დაავადებულთა მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმ შვილების სოციალური დაცვა (06 02 02 01)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის დასოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა შ.შ.მპირთა (18 წლამდე) შვილების დახმარება. აღნიშნულ ქვეპროგრამით თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად გაიცემა თანხა 150 ლარის ოდენობით.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (18 წლამდე) შვილების ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა	მიღწეული შედეგი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (18 წლამდე) შვილების ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება (06 02 02 02)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის დასოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მყოფი მოქალაქეებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, ზამთრის სეზონზე სათბობით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, კომუნალური გადასახადების (ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია) სუბსიდირება, ქვეპროგრამით ისარგებლა 1675 ბენეფიციარმა. სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხით განხორციელდა გარდაცვლილი სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ოჯახის დახმარების მიზნით, სარიტუალო მომსახურების ხარჯების უზრუნველსაყოფად დახმარება.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ხელშეწყობა	მიღწეული შედეგი	სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება (06 02 03)		
--	--	--	--

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	თელავის მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახური ემსახურება სოციალურად დაუცველ ბენეფიციარების ყოველდღიურად, დღეში ერთჯერ, საკვებით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მარტოხელა ბენეფიციართა ბინაზე მომსახურებაც, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ გადაადგილებას. გარდა აღნიშნულისა, უფასო კვებით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგი სტატუსის მქონე ადამიანებს: შშმ სტატუსის მქონე ბავშვები და მათ ოჯახის წევრები, მარტოხელა მშობლები შვილებთან ერთად. მომსახურებით ასევე ისარგებლებენ მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“. ბენეფიციარებისათვის შექმნილია გარემო სადაც კომფორტულად იგრძნობენ თავს.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ყოველდღიურად ერთჯერადად საკვებით უზრუნველყოფა	მიღწეული შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ყოველდღიურად ერთჯერადად საკვებით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ვეტერანთა, გარდაცვლილდევნილთა და უპატრონიცვალეულთა დაკრძალვის ხარჯები (06 02 04)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გარდაცვლილი მეორე მსოფლიო ომის მონაწილის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლის (სამაჩაბლო-აფხაზეთი), დევნილის სარიტუალო მომსახურებისთვის გაიცემა დახმარება 250 ლარის ოდენობით, ხოლო უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით- 500 ლარის ოდენობით. 2023 წლის განმავლობაში გაიცა დახმარება 12 ბენეფიციარზე. გეგმის შესრულება დამოკიდებულია ღონისძიების კრიტერიუმის ფარგლებში მომართვიანობაზე. ქვეპროგრამის მიზანია გარდაცვლილთა ოჯახების თანადგომა.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარება	მიღწეული შედეგი	სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (06 02 05)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოჯახში ახალშობილთა დაბადებისას ოჯახების ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, მრავალშვილიანი ოჯახებზე, სადაც 18 წლამდე ოთხი და მეტი ბავშვია თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას, აგრეთვე, სოციალურად დაუცველი ოჯახების დაფინანსებას (0-1 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველსაყოფად); 2023 წელს აღნიშნული ქვეპროგრამით ისარგებლა 28 ახალშობილ ბავშვთა ოჯახმა და 150 მრავალშვილიანმა ოჯახმა (635 ბავშვი), სოციალურად დაუცველი ოჯახების დაფინანსებით (0-1 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველსაყოფად) ისარგებლა 40 ბენეფიციარმა; ქვეპროგრამის მიზანია: ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორიების დახმარება	მიღწეული შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორიების დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	ვეტერანთა საზოგადოება (06 02 06)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, სამამულო და სამაჩაბლო-აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში მონაწილე ვეტერანთა ორგანიზაციების ხელშეწყობას. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია ქვეპროგრამით შესაძლო მოსარგებლე ორგანიზაციების მოუმართავობის გამო.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ვეტერანთა თანადგომა	მიღწეული შედეგი	ვეტერანთა თანადგომა

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე და თხევადი აირით დახმარების ღონისძიებები (06 02 07)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კომუნალურ (ელექტროენერჯის) გადასახადებზე დახმარების ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორია: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, დევნილები, შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები, უდემდამო ბავშვები, მარტოხელა მშობლები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა მარჩენალდაკარგული ოჯახები, მრავალშვილიანი ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტი შვილი და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200000-ს. აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრობა შეუფერხებელი გადაადგილებისათვის გამოყოფილია ტრანსპორტი, რომელთა საშუალებითაც მთელი წლის განმავლობაში, სოფლებში, სადაც არ ხდება ტრანსპორტის რეგულარული მოძრაობა (განსაკუთრებით სასწავლო წლის პერიოდში) მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყოს შეუფერხებლად და კომფორტულად გადაადგილება. კომუნალურ (ელექტროენერჯის) გადასახადებზე დახმარების პროგრამით 2023 წლის განმავლობაში ისარგებლა 428 ოჯახმა. ხოლო ტრანსპორტით ხელშეწყობის პროგრამით სარგებლობდა სოფ. ლაფანყურის, სოფ. თეთრწყლების, სოფ. ნასამხრალის მოსახლეობა.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ხელშეწყობა	მიღწეული შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები (06 02 08)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორია: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახები, ძალადობის მსხვერპლი პირები, მარტოხელა მშობლები, მრავალშვილიანი ოჯახები, შშმ პირთა ოჯახები, პირები, რომლებიც გასული არიან სახელმწიფოს ზრუნვიდან. აღნიშნული კატეგორია ფინანსდება თვეში 100 ლარის ფარგლებში. 2023 წელს ისარგებლა 98 ოჯახმა. მიზანი: პროგრამით მოსარგებლე კატეგორიის უზრუნველყოფა გარკვეული დროით		

	თავშესაფრით.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებელე კატეგორიის უზრუნველყოფილია გარკვეული დროით თავშესაფრით	მიღწეული შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებელე კატეგორიის უზრუნველყოფილია გარკვეული დროით თავშესაფრით

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები (06 02 09)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სასაჩუქრე ამანათების ან/და ფულადი თანხების გაცემა. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ : მრავალშვილიანი ოჯახები სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს,უდედმამო ბავშვები, 100 წელს გადაცილებული მოხუცები,მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, შშმ სტატუსის მქონე ბავშვები,ომის მონაწილეები, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა 18 წლამდე ასაკის შვილები, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულთა და დაღუპულთა ოჯახები, იძულებით გადაადგილებული პირები,სოციალურად დაუცველი ოჯახები,მარტოხელა მშობლები ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები და ახალშობილთა ოჯახები. 2023 წელს ქვეპროგრამით ისარგებლა 1071 ბენეფიციარმა.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორიისათვის საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე თანადგომის გამოხატვა და სადღესასწაულო წახალისება	მიღწეული შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორიისათვის საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე თანადგომის გამოხატვა და სადღესასწაულო წახალისება

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები (06 02 10)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ონკოლოგიურ პაციენტთა (ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პირთა) სამედიცინო მომსახურების და მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსებას; ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფას; ქვეპროგრამა ითვალისწინებს, ასევე როგორც ოპერაციული, ისე სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების, მათ შორის რეაბილიტაციის და სხვადასხვა სადიაგნოსტიკო ღონისძიებების განხორციელების თანადაფინანსებას. 2023 წელს დახმარება გაეწია 2498 ბენეფიციარს. გეგმის შეუსრულებლობა გამოწვეულია პროგრამით მისარგებლე ბენეფიციარებზე გაცემული ადმინისტრაციული დაპირების ვადით, რომელიც დაფინანსების წესის გათვალისწინებით, შესაძლოა მოიცავდეს გარდამავალ პერიოდს (გაცემული 2023 წელს, შესრულდეს და დაფინანსდეს 2024 წელს). მიზანი: პროგრამით მოსარგებლე კატეგორიის მედიკამენტების და მკურნალობის თანადაფინანსებით/დაფინანსებით უზრუნველყოფა.		

დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორიის დახმარება	მიღწეული შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორიის დახმარება
--------------------------	--	-----------------	--

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (06 02 11)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამით განხორციელდა შ.მ.პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხარჯების თანადაფინანსება. აღნიშნულის ფარგლებში მოხდა ააიპ „ალტერ ეგო“-ს მიერ განსახორციელებელი პროექტის (თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილი ასაკის შშმ პირებისათვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრის მომსახურება) თანადაფინანსება; საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციის მიერ განსახორციელებელი პროექტის (შშმ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამა) თანადაფინანსება. ქვეპროგრამით განხორციელდა აგრეთვე თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სმენადაქვეითებული/კოხრეალური იმპლანტის მომხმარებელთა შიდა იმპლანტზე მიმაგრებული გარე მეტყველების პროცესორის ღირებულების თანადაფინანსება. ასევე, აუტისტური სპექტრის, ცერებრული დამბლის, დაუნის სინდრომის, ქვევის დარღვევის და განვითარების სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვებისათვის მუსიკა თერაპიის (რომელიც ითვალისწინებს სოციალური კომპეტენციის, ემოციური ბალანსის, სხეულის აღქმის, კონცენტრაციის უნარის, ენისა და მეტყველების, მსხვილი და ნატიფი მოტორიკის გასაუმჯობესებლად ნორდოფ-რობინსის მეთოდით, რომელიც მიზნად ისახავს მუსიკის საშუალებით ბავშვებთან კომუნიკაციის დამყარებას, უნარების განვითარებას, ქვევის მართვას, ემოციური რეგულაციების გაუმჯობესებას) თანადაფინანსებას.</p> <p>მიზანი: ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.</p>		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორიის დახმარება	მიღწეული შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორიის დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება (06 02 14)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცა 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებული პირის ყოველთვიური (200 ლარის ოდენობით) ფინანსური დახმარება.		
დაგეგმილი საბოლოო შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარის დახმარება	მიღწეული შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარის დახმარება

ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	საქართველოს წითელი ჯვარის თანადაფინანსება (06 02 15)		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა „საქართველოს წითელი ჯვარი“-ს თანადაფინანსება, რომელიც ახორციელებს პროგრამას "საქმიანობათა ცენტრი თელავში უსაფრთხო გარემოსა და		

	სიცოცხლის ხელშეწყობისათვის".
ქვეპროგრამის დასახელება /პროგრამული კოდი	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა (06 03)
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები: ძალადობის პრევენციის მიზნით, სემინარი „კიბერბულინგი და კიბერუსაფრთხოება - თანამედროვე ტექნოლოგიების უარყოფითი გავლენა“- დამამთავრებელი კლასის მშობლებისათვის; თელავში მოღვაწე ცნობილ ქალთა ხელშეწყობა, პოპულარიზაცია; დამზადდა ვიდეო რგოლი, სოფლად მცხოვრები მეწარმე ქალების შესახებ, ქალ მეწარმეთა გაძლიერების ხელშეწყობის ღონისძიების ფარგლებში; ძალადობის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო კამპანია. საინფორმაციო მასალების გავრცელება და სხვა.

თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდიდან ხარჯვის შესახებ ანგარიში

2023 წლის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 96,60005 ათასი ლარი:

1. 24,12198 ათასი ლარი - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტში მდებარე მოქალაქის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში მომხდარი ხანძრის შედაგად დამწვარი სახურავისა და ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად;
2. 0,50 ათასი ლარი - გარდაცვლილი მოქალაქის ოჯახის დახმარების მიზნით, სარიტუალო მომსახურების ხარჯების უზრუნველსაყოფად;
3. 0,30 ათასი ლარი - მოქალაქის დახმარების მიზნით, დანიშნულების შესაბამისი მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების უზრუნველსაყოფად;
4. 0,25 ათასი ლარი - გარდაცვლილი მოქალაქის ოჯახის დახმარების მიზნით, ქალაქ წნორიდან სოფელ კონდოლში გადმოსვენების ხარჯების დაფარვის უზრუნველსაყოფად;
5. 1,8 ათასი ლარი - თელავის მუნიციპალიტეტში არსებული სამედიცინო დაწესებულებების 9 (ცხრა) წარმომადგენლისათვის, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით რეგიონში ეპიდემიოლოგიური ვითარების მართვაში, დაჯილდოების მიზნით, სასაჩუქრე ბარათების შეძენის უზრუნველსაყოფად;
6. 0,7 ათასი ლარი - გარდაცვლილი მოქალაქის ოჯახის დახმარების მიზნით, სარიტუალო მომსახურების ხარჯების უზრუნველსაყოფად;
7. 1,0 ათასი ლარი - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში მცხოვრები მოქალაქის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში მომხდარ ხანძართან დაკავშირებით, ოჯახის დახმარების მიზნით.
8. 0,5 ათასი ლარი - გარდაცვლილი მოქალაქის ოჯახის დახმარების მიზნით, სარიტუალო მომსახურების ხარჯების უზრუნველსაყოფად.
9. 50.04652 ათასი ლარი - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხოდაშენში მდებარე მოქალაქის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში მომხდარი ხანძრის შედაგად დამწვარი სახურავისა და ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის;
10. 0,5 ათასი ლარი - გარდაცვლილი მოქალაქის ოჯახის დახმარების მიზნით, სარიტუალო მომსახურების ხარჯების უზრუნველსაყოფად;
11. 15,28155 ათასი ლარი - სოფელ ვარდისუბანში არსებული სასმელი წყლის რეზერვუარის (V -7500მ³) გაწმენდის და დეზინფექციის სამუშაოებისათვის;
12. 1,6 ათასი ლარი - მოქალაქის დახმარების მიზნით, სამედიცინო მომსახურებების დაფინანსების უზრუნველსაყოფად.